

63/2
24

332 / 2
1924

საქართველოს
ბავშვთა
განათლების
მინისტრის
გამოცემის
ბიუროს
გამოცემა

გოდუნაჯი სანიჰი



№ 1

წ-63.




წითელი სხივი

1924.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტ. ყურნალი ბავშვისათვის.

წელიწადი 1

იანვარი № 1



ვ. ი. ლენინი

1870—1924.

1084.

7084.



გლოვა

ლ ე ნ ი ნ ზ ე .



ვეწვია სევდა მეტად მთავარი.
სტირის მშრომელი-გლეხი თუ
მუშა.

გარდაიცვალა მამამთავარი, და
ოცნებები ძირს დაიფუშა.

დღეს ქვეყანაზე გაისმა გლოვა,
ყველგან მოედო როგორც კალა:
ის არ იქნება, ის აღარ მოვა,
მან ჩვენზე ზრუნვით სული დალია.

მაგრამ შორს მოთქმა, ცრემლი და ვიშა.

ნუ დაიბუდებს ეჭვები სულში,

სანამდე ხალხთა მრავალი ჯიშა

მასზე ლოცულობს თავის მამულში!

ჩვენ წინ მივდივართ ბასრი მახვილით.

კვლავ გამარჯვების გველის მეჯლისი;

ნუ შეგაშინებთ, თუ ქედმოხრილი

დღეს შავებშია დედა-ტფილისი.


თქვენც წინ გასწიეთ მეომართ შეილნო,

თქვენც შეისწავლეთ ხმლების ტრიალი.

მარად ატარეთ ტანჯვით აღზრდილნო:—

ილიჩის ხსოვნა, მისი ტრფიალი!

პ. ოდიშელი



მეირთვასი მასწავლებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი-უღიანოვი.

21 იანვარმა თავზარი დასცა მთელი მსოფლიოს
მუშათა კლასს და დაჩაგრულ ხალხს.

21 იანვარს, საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე,
ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარ-
დაიცვალა ჩვენი დიადი ბელადი, მუშათა კლასის
საქმისათვის შეუღარბებელი თავდადებული მემჩობლი
გმირი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიასძე
უღიანოვი-ლენინი.

ამ სამწუხარო ამბავმა ელექტრონული სიჩქა-
რით გაიარა მთელი მსოფლიოს მრავალმილიონიან
მუშათა და გლეხთა ორგანიზმებში და მძიმედ, მწუ-
ხარედ ააძგერა მათი გულები.

ვლადიმერ ილიჩმა მთელი თავისი სიცოცხლე
შესწირა მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლების
საქმეს.

მუდმივი დევნა-გადასახლება ბურჟუების
მიერ, მუშათა კლასის ინტერესებისათვის
ბრძოლა—აი მთელი შინაარსი ილიჩის ცხოვრების.

ვლადიმერ ილიას ძის ხელმძღვანელობით ჩაეყარა
მტკიცე საძირკველი კომუნისტურ პარტიას. ვლა-
დიმერ ილიას ძის ხელმძღვანელობითვე კომუნის-
ტური პარტიის ფოლადისებურმა ნებისყოფამ და
ბრძოლამ მიიყვანა რუსეთის, საქართველო—ადერ-

ბეიჯან—სომხეთის და სხვების მუშები და ლარბი
გლეხები მდიდრებზე გამარჯვებამდე. 1905 წლიდან
დაწყებული უკანასკნელ წლებამდე მუშათა მოძ-
რაობაში ბევრჯერ იყო მძიმე წუთები, ბევრჯერ
ჩავარდნილან მუშები და გლეხები განსაცდელში
ნიკოლოზის სასტიკი რეჟიმის გამო, ან კაპიტალის-
ტებთან ბრძოლაში, მაგრამ ლენინი იყო ის არა-
ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ყოველთვის
მოეგლინებოდა მათ თავის მედგარი ნებისყოფით
და შორსმსჭვრეტელი გონებით, რომელიც აყენებ-
და მათ გამარჯვების სწორ გზაზე.

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, ახალ-
გაზრდა მუშათა და ლარბ გლეხთა შეგნებულო, მო-
წინავე ნაწილი აღმოცენდა და განვითარდა ლენინის
კარნახით და ხელმძღვანელობით. ლენინმა განუმარ-
ტა მუშათა ახალგაზრდობას მათი კავშირის მთა-
ვარი ამოცანები და ჩირაღდანით გაუჩნათა გზა, მიმარ-
თული კომუნისტური შრომის საზოგადოების შე-
ქმნისკენ, 1919 წელს ახალგაზრდათა კომუნისტური
კავშირის ყრილობაზე ლენინმა მიმართა ახალგა-
ზრდებს, რომ ისინი არიან ის თაობა, რომელმაც უნდა
ააშენოს კომუნისტური საზოგადოება, სადაც ყველა
იცხოვრებს თავისი შრომით, ყველა იქნება თანასწორი,

სადაც არ იქნება არც ღარიბი და არც მდიდარი, ყველა იცხოვრებს თავისი სურვილებით, და რომ ამისათვის საჭიროა სწავლა, განვითარება, შექმნა ცოდნის, რის შემდეგ შეიძლება ისინი საბოლოოდ მთელ მსოფლიო მუშათა კლასის საქმის გამარჯვებამდე მიყვანას. ეს სიტყვები აქვს ღრმად ჩანერგილი ახალგაზრდა კომკავშირის წევრებს გულის სიღრმეში, ილიჩის ანდერძს ასრულებს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი და განაგრძობს წინსვლას კომუნისმის გზაზე. ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირს ერთიანად აქვს ლენინის გზა, სწორი, უექვეო რწმენა საბოლოო გამარჯვებისა. ახალგაზრდა კომუნისტური კავშირი მთლიანად განიმსჭვალა ამ მისწრაფებით და განავითარა მან თავის ორგანიზაციებში თავის მასწავლებლის ფოლადისებური ნებისყოფა, დაჩაგრულ ხალხთა საბოლოო განთავისუფლების ბრძოლისათვის.

ლენინს გულით უყვარდა პროლეტარული მუშათა ბავშვები და მომავალ მოზარდ თაობის აღზრდას მთავარი ყურადღება მიაქცია. როდესაც რუსეთში იყო გაბატონებული ნიკოლოზის რეჟიმი და შემდგომ კერენსკის, წერეთლის და სხ. ხელისუფლება, მდიდრებმა თავის ბავშვებს შეუქმნეს ორგანიზაცია „სკაუტის“, ბუდას და სხვების სახელწოდებით. ამ ორგანიზაციებს ჰქონდა ბურჟუაზიული მიმართულება. მდიდრების ბატონობის და მუშათა კლასის გამარჯვების შემდგომ ეს ბავშთა ორგანიზაციები, სადაც ყალიბდებოდა ბურჟუაზიული ნებისყოფა, ზიზღი და სიძულვილი მშრომელ ადამიანთა მიმართ, დაშლილი იქნა და მის ნანგრევებზე ლენინის გავლენით აღმოცენდა პროლეტარულ ბავშთა მოძრაობა. მუშათა კლასის ბავშვებმა ლენინის ზეგავლენით შექმნეს და ჩამოაყალიბეს ბავშთა კომუნისტური ჯგუფები, რომლებმაც მიზნად დაისახეს მომზადება მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის. ბავშთა კომუნისტური ჯგუფები დღეს მთელ საბჭოთა ქვეყნებში უკვე ძლიერი არიან და ამართლებენ თავის მიზანს: ისინი ემზადე-

ბიან, ეცნობიან მუშათა კლასის ბრძოლას — გამარჯვებულს და დაუხრებლად მიაქვთ წინ ლენინის წითელი დროშა — ქვეყნიერებაზე ბედნიერების დასამყარებლად.

ეს კიდევ ცოტაა... ვლადიმერ ილიას ძემ არ დასტოვა უყურადღებოდ ბურჟუაზიის ბატონობის დროს ქუჩაში მაწანწალა ბავშვებიც და თავისი ენერჯია მიმართა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. ლენინის კარნახით იქნა დაარსებული ათასობით პროლეტარულ და ობოლ ბავშვებისათვის ბავშთა სახლები, თავშესაფარები, ბაღები, სადაც იზრდებიან ჩვენი მომავლის ყვავილები, სადაც ყველა ბავშვები, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, გრძნობენ თავის თავს პაწია კომუნარებად ერთ მთლიან კოლექტივისა.

ღიან, არა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელმა ხალხმა და პროლეტარიატის ბავშვებმა, ახალგაზრდა პიონერებმა, დაჰკარგეს საუკეთესო ხელმძღვანელი, გენიოსი დემირი...

საბოლოოდ ბურჟუაზია და მისი ლაქიები შეხედენ ლენინის გარდაცვალებას სიხარულით. ბავშვებმა, მუშათა კლასთან ერთად, უნდა უბასუხონ მუშათა მტრებს — ბურჟუებს, რომ ლენინმა მოგვცა ყოველივე ის, რაც საჭიროა მათ საწინააღმდეგოდ მიმართულ ბრძოლისათვის; — ესაა ლენინიზმი. ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი მოძღვრება — ლენინიზმი — სკოცხლობს და იცოცხლებს მუდამ!

ჩვენ, ბავშვებო, უნდა მივცეთ ფიცი ძვირფა ლენინს, რომ მედგრად ვივლით იმ გზაზე, რომელიც მოგვცა მან, რომ ლენინიზმი — ლენინიზმი მოძღვრება — იქნება ჩვენთვის იმ გზად და ხიდად რომელიც მიმართულია მთელ მსოფლიოში კომუნისმის დამყარებისაკენ. ამით ჩვენ შევსძლებთ შევასრულოთ დიდი მასწავლებლის — ილიჩის ანდერძი ლენინის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენი გული სიღრმეში.

ალიოშა მდივანი

ლ ე ნ ი ნ ი

გინახავთ, თქვენი ტოლა ბავშვები გაცრეცილ სახით ქუჩა-ქუჩა როგორ დაწანწალდებენ და მათ ხოვრობენ? გინახავთ, როგორ არ გინახავთ! ხშირად ცრემლებიც მოგრევიან და დახმარებისათვის

იმით, რითაც შეგძლებიათ; ზოგმა პურის ნატე მისთავაზეთ, ზოგმა გროშები, ზოგმა თქვენი ნამარი ტანსაცმელი. რატომ შეგეცოდათ ბავშრად ღონდებოდით? რა თქმა უნდა, გული ავ



ტირდათ, რომ ასეთ საცოდავ მდგომარეობაში ნახეთ ბავში, რომელიც ერთგვარად იტანჯება ზამთარშიც და ზაფხულშიც.

ახლა ვიკითხოთ, რა დააშავეს ამ ბავშვებს, რომ შიათ და პური არა აქვთ, სცივათ და ტანისამოსი ვერ უშოვიათ? ვინ წაართვა მათ დედა, მამა, სახლი და კარი?

უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვების ასეთი გაუბედურების უდიდესი მიზეზი ძვირფასი ცხოვრებაა. ჩვენი ცხოვრება მეტად მოუწყობელია და დიდ უსამართლობას არხეინად მოუყვანია. ფუფუნებაში არიან მდიდრები, რომელნიც ნაკლებს მუშაობენ, ხოლო დიდი უმრავლესობა—მშრომელი ხალხი—ოფლსა ღვრის, მუდამ დღე ირჯება და იმდენიც კი ვერ უშოვნია, რომ ცოლშვილი წესიერად გამოკვებოს, ხოლო სადაც წესიერი სმა-ჭამა არ არის, იქ სწეულებაც ხშირი სტუპარია. ამიტომაც, სიღარიბეში ჩაცვნილი ხალხი მალე იღუპება, მათთვის არც შემბრალბელია ვინმე, არც წამალი, არც სხვა რამ. იღუპებიან და ბავშვებს ობლად სტოვებენ, ქუჩის ანაბარად, ანდა, თუ არ დაიხოცენ, იძულებული ხდებიან შვილები ქუჩაში გამოარეკონ სამათხოვროდ, რომ ისინი ლუკმა პურის შოვნაში მიეშველონ მათ. ხომ ხედავთ, რომ ყველა ეს უსამართლობაა. თქვენი ცრემლებიც, პაწია მათხოვრების დანახვაზე—სამართლიანი საყვედურია: თქვენ ჯერ პატარები ხართ, არ შეგიძლიათ დასაჯოთ ისინი, ვინც ასეთ საცოდავ მდგომარეობაში ჩაყარა თქვენი ტოლები. ამიტომაც თქვენი ლამაზი ცრემლები თუ უდიდესი ნუგეშია ბავშვებისათვის, სამაგიეროდ გულქვა ადამიანებს, რომელნიც უსამართლოდ მოექცენ ბავშვების მკვებს და სიღარიბეში ჩაჭყარეს, მუდამ საყვედურით ამხელენ: რას გრჩით ამათ მშობლებს, ნება მიეცით, რომ პატიოსანი შრომა დაუფასდეთ და ეს საწყალი ბავშვები აცხოვრონო.

თუ პატარაობისას ჩვენი უდიდესი წყრომა უსამართლობის გასაკიცხად მხოლოდ ჩვენივე ცრემლებია, როცა გავიზრდებით, მკლავში ძალას ვიკრძნობთ, გვსურს, რომ აშკარა ბოროტების მთესველთ ცრემლების ნაცვლად ძალით შევებრძოლოთ. ადამიანთა მთელი ცხოვრება მართა დღეს კი არა, მთელი ათასი წლების განმავლობაში სულ ასეთი ბრძოლის გარშემო ტრიალობს. ვინც ბატონობდენ, ისინი მუდამ ცდილობდენ, რომ ბატონობა არავისთვის არ დაეშმოთ, ხოლო დაჩაგრულები, აშკარად დამონაგებულნი, მდიდართაგან მათხოვრებად გარდაქმნილნი, ვერ ითმენდენ და ებრძოდნენ ხოლმე, მაგრამ ყოველთვის დამარცხებულები გამოდიოდნენ,

ჯერ ერთი იმიტომ, რომ ღარიბები და დაჩაგრულნი ცარიელი ხელის ამარა იყვენ, ბატონებს კი მუდამ ყოველნაირი იარაღი და საშუალება ჰქონდათ მათ დასამარცხებლად. მეორე კიდევ იმიტომ, რომ ღარიბები მუდამ თვალახვეულნი იყვენ მღვდლების მიერ, რომელნიც საყდრებშიც და გარედაც ერთსადიამივეს ჩასჩიჩინებდნენ ხალხს: ყველაზე კარგი რაც არის, ეს არის სიღატაკე, იმიტომ რომ სიკვდილის შემდეგ ზეცაში სამოთხეში დასახლდებიან; ამიტომ ბატონებმა და მდიდრებმა რაც გითხრან, დაუჯერეთო. საწყალ ხალხს მართლა სჯეროდა მღვდლების, მორჩილად იტანდა ყოველგვარ ტანჯვას და იმეღიანად ხვდებოდა სიკვდილს, სიღარიბეს, გაჭირვებას, რომ სამოთხე არ დაეკარგნა. მაგრამ, როგორც ვთქვით, ყველაფერს საზღვარი აქვს და ამ ბეჯრის ამტან ღარიბებში ხშირად გამოდიოდნენ უფრო გაბედულნი და იძახოდნენ: ნუღარ გვატყუებთ, საიქიოდან არვინ მოდის ნამდვილი პასუხის მომტანი, ჩვენ აქ, ამ ქვეყნად გვინდა დავაბრსოთ ჩვენი სამოთხეო,—და ამ სიტყვებით ახდენდენ აჯანყებას, რომ როგორც შეეძლოთ, ან რითაც შეეძლოთ, სამაგიერო გადაეხადათ ბატონებისთვის.

წინად ღარიბებისა და გაჭირვებულ ხალხის ყოველ აჯანყებას გარკვეული სახე როდი ჰქონდა. მაშინ მართა ჯავრის ამოყრით კმაყოფილდებოდნენ: ბატონს მოჰკლავდნენ, ამოუწყვეტდნენ ცოლშვილს, გაღუწვავდნენ სახლკარს და ბოლოს ყაჩაღად გაცვივდებოდნენ ხოლმე. ისინი ასე იმართდნენ, რომ სწავლა არ ჰქონდათ, ხელმძღვანელები არ ჰყავდათ.

მაგრამ აი, გასულ საუკუნეში ამ დაჩაგრულ ხალხს ნასწავლი ადამიანებიც გამოუჩნდნენ ქიმაგად. ამათ შორის ყველაზე ცნობილი და უდიდესი ადამიანი იყო კარლ მარქსი, რომელმაც მშრომელ ხალხს, გაჭირვებულებს თვალი აუხილა და დაუასახა მთავარი გეგმა, თუ როგორ უნდა ებრძოლათ, როგორ დაემარცხებინათ ბატონები და შემდეგ როგორ მოეწყოთ ახალი ცხოვრება ისე, რომ ყველას თანაბრად ცხოვრება შესძლებოდა, არ ყოფილიყვნენ არც დაჩაგრულები და არც ბატონები, არც მდიდრები და არც ისეთი ღარიბები, რომელთა შვილებსაც სამართლიანად აუტრემლებია თქვენი ნაზი გული.

მაგრამ მარქსმა მხოლოდ ასწავლა მშრომელ ხალხს, თუ როგორ გაემარჯვებოთ ბატონებზე. თვითონ მარქსი კი ისე მოკვდა, რომ ვერ ეღიბა თავის აზრების გაშარჯვებას.




სიკვდილის წინ მშრომელ ხალხს აი რანაირი დარიგება მისცა:

„თქვენ, მშრომელო ხალხო, შეერთდით და ისე იბრძოლეთ თქვენი საზოგადო მტრის წინააღმდეგ. თქვენთვის სულერთია უნდა იყოს, რომელ ქვეყნის ღარიბს და მშრომელს მოჰკრავთ თვალს: გერმანელი მშრომელი, ფრანგი, თათარი, რუსი, ქართველი—სულერთია. საქმარისია, რომ თქვენ მშრომელი ხართ—შეერთდით და თქვენი მტერი—ბატონები—დაპარცხდებიან, ეს იმიტომ, რომ თქვენ ბევრნი ხართ და ისინი ცოტანი და გებრძვიან სწორედ იმ იარაღით, რომელსაც თვითონ თქვენ უკეთებთ“.

ეს სიტყვები დიდი მოძღვრისა მშრომელ ხალხს გულში მოხვდა და მან შეიგნო, რომ ვერავინ გაუწევდა ქომავობას, თუ თვითონვე არ უბატონებდა თავს.

* * *

მარქსის სიკვდილის შემდეგ მუშებს მრავალი მეგობარი გამოუჩნდა ნასწავლთა შორის, მაგრამ მათში ყველაზე დიდი ადამიანი და თითქმის მარქსის თანასწორი იყო ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი, ანუ, როკორც ბოლოს თავის თავს უწოდა—**ლენინი**.



ლენინი ბავშობაში

ულიანოვ-ლენინი შთამომავლობით გლეხი იყო. დაიბადა 1870 წ. ქ. სიმბირსკში. კარგა ხანს დიდ ქალაქებში არ წაიყვანეს; სიმბირსკი უფრო გლე-

ხური ქალაქია და ულიანოვი, უმეტეს შემთხვევაში, სულ გლეხებში ტრიალებდა და ბუნებრივად ცნობობდა გლეხთა ცხოვრებას, მათ გაჭირვებას და დაღბინებას.


როცა წამოიზარდა, გიმნაზიაში მიაბარეს. მას ერთი უფროსი ძმა ჰყავდა—ალექსანდრე. ის უფრო ადრე გამოვიდა ცხოვრებაში, ისიც არანაკლებ დაკვირვებული ადამიანი იყო და მშრომელ ხალხს მოქომამაგე ნასწავლელში ჩაეწერა. მათ მოინდომეს გლეხობას როგორმე დახმარებოდნენ. უდიდეს მტრად დაინახეს თვითონ ხელმწიფე, ალექსანდრე მესამე, შეითქვენენ მოსაკვლელად, მაგრამ ყველანი დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს. ლენინის ძმა შიგ ციხეში ჩამოახრჩეს. ამ დროს ლენინი ნხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო.

ძმის ჩამოხრჩობამ დიდი გავლენა მოახდინა ლენინზე. პირველად ის შეეკითხა თავს: რატომ უნდა დაეხრჩოთ მისი ძმა? განა გლეხებს არ ესარჩილებოდა? განა მშრომელი ხალხის სიკეთისთვის არ გაიმეტა თავი? ბოლოს მიხვდა, რომ ბატონები გლეხობას და საზოგადოდ მშრომელ ხალხს ადამიანებად არა სთვლიდნენ და დანაშაულად უთვლიდნენ ყველას, ვინც მათ სასარგებლოდ რამეს იტყოდა. ლენინი აღშფოთდა. უნდოდა სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ჯერ კიდევ გამოცდილება და ცოდნა აკლდა. ამიტომაც გაორკეცებული სურვილით დაეწაფა სწავლის დამთავრებას.

* * *

თუმცა ძველი მთავრობა ულიანოვ-ლენინის სწავლას ყოველგან წინ გადაეღობა და წინასწარვე იგრძნო, რომ საშიში მტერი ეზრდებოდა, მაგრამ ლენინმა მანც მოახერხა ძალიან დიდი ცოდნის შეძენა. გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტებში—სხვადასხვა ქალაქში—გამოცდებს ჩინებულად აბარებდა, იგი მეორე უნივერსიტეტებშიც დაიარებოდა—ქალაქის მუშებში. სტუდენტობის დროსვე ხალხის მეგობართა წრეში ჩაეწერა და მალე გაიცნო მარქსის მოძღვრება. აქ მას აეხილა თვალი და მისთვის ნათელი შეიქმნა, თუ რა აკეთოს, როგორ დაიხსნას მშრომელი ხალხი. ამ მიზნით იგი აარსებს ფარულ წრეებს, სცემს მუშათა სასარგებლოდ სხვადასხვა გაზეთს. მას ყოველგან სდევნიან. ერთი ქალაქიდან გადადის მეორეში, მაგრამ სადაც შევა, იქ შეიტანს მუშებში სიცოცხლეს. ბევრჯერ იჭერენ ციხეში სვამენ, მაგრამ მისი დამორჩილება და გატეხა მაინც ვერ მოახერხეს. ულიანოვი იძულებული ხდება პოლიციის თვალის ასახვევად გვარო შეიცვალოს. ის ირქმევს ლენინს და ამ სახელს ატარებს სიკვდილამდე.

ხანგრძლივმა დევნამ და ციხეში ჩადგებამ ლენინი აძულა რუსეთი დაეტოვებინა და უცხოეთში წასულიყო. არაა ევროპის არცერთი ქალაქი, სადაც ის არ ყოფილიყო. ძალიან მადლიანი გამოდგა ევროპა მის სწავლა-განათლების წარმატებისთვის. მთელი წლობით, მაგალითად, პარიზის უდიდეს ბიბლიოთეკებში დღეში 15 საათს მუშაობდა. ასევე იყო ლონდონში, ბერლინში და სხვ. უცხოეთშივე გაეცნო არა მარტო რუსეთიდან განდევნილ ან გაქცეულ ხალხის ისეთ დიდ მეგობრებს, როგორც იყვნენ გ. პლენხანოვი, მარტოვი, კრაპოტკინი, არამედ უცხოეთის გამოჩენილ მნათობებსაც — კაუტ-



ლენინი გიმნაზიელი

კის და სხვებს. უცხოეთში ლენინი მალე თვალსაჩინო პიროვნება ხდება. ერთად იყრიან თავს, დასჯელობენ იმაზე, თუ როგორ უშველონ მშრომელ ხალხს.

მალე ამ მსჯელობაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ერთი ამბობდა, რომ მშრომელ ხალხს ნელ-ნელა, თანდათანობით უნდა აეუხილოთ თვალი, შევარდებიანოთ ყველაფერი, გავანათლოთ და ისე მივალწიოთ მათ განთავისუფლებას და თანასწორობის სამეფოს დაპყარებას, ანუ, როგორც ამბობენ, სოციალიზმსაო. მეორე მიმდინარეობა უფრო ჩქარობდა; ნელი სიარულით მეტად გავაქანურებთ სოციალიზმის სასიითხს, უფრო სწრაფი მოქმედებით სიცოცხლეს და სიფხიზლეს შევიტანთ ხალხში და მიზნის განმორციელებაც ადვილი იქნებაო. ამ მეორე აზრის მესვეური იყო ლენინი და, მართლაც, მთელ თავის მოღვაწეობას ანდომებდა საქმიანობას, მუშაობებში მოქმედების სურვილის გაღვივებას, ოღონდ დეცდიდა დროს, რომ ყველა მუშებისთვის თავი ტოვებოდა. ეს დროც დადგა: ევროპაში ატყდა ომი,

რომელმაც მთელი ქვეყანა ჩაითრია, და, სწავთაშორის, — რუსეთიც. ლენინი ამოქმედდა: იგრძნო, რომ მოახლოვებული იყო მისი აზრების გამარჯვება.

* * *

ომში რუსეთი სასტიკად დავარცხდა. მოხდა აჯანყება. მეფე ნიკოლოზ II ჩამოაგდეს. ლენინი ამ დროს კიდევ უცხოეთში იყო. ძალიან სწყინდა, როცა გაიგო, რომ ნიკოლოზის ჩამოგდებით მუშებმა ვერ ისარგებლეს და ნაყოფი გამარჯვებისა გაუყვეს თავისსავე მჩაგვრელ მდიდრებს, ანუ ბურჟუაზიას. ის კარგად გრძნობდა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, მაშინ მშრომელ ხალხის ქომაგებს ბურჟუები მალე გამოორეკდენ და საწყალი ხალხი ისევ საწყლად დარჩებოდა. ამიტომ გამოეჩქარა რუსეთში. ფაჩულად, თავი აშხანაგებითურთ, რომელთა შორის უფრო ერჩეოდენ ლეონ ტროცკი, ზინოვიევი, ლენინაჩარსკი და სტალინ ჯულაშვილი, მუშებში იწყო მოქმედება და უკმაყოფილების გლეხება, მოახდინა ხელახლა აჯანყება, ჩამოაგდო ნიკოლოზის შემდეგ შემდგარ ბურჟუების მთავრობა და გამოაცხადა მშრომელ ხალხის ხელისუფლება.

ის წესწყობილება, რომელიც ლენინმა მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენისთანავე დაამყარა, არის კომუნისტური, ანუ თანასწორობისა და შრომის ნიადაგზე აშენებული სახელმწიფო.

რა თქმა უნდა, ლენინის ასეთი მოქმედება არ მოეწონებოდათ ძველს ბატონებს. დიდი ომები მოხდა რუსეთში. ბურჟუები ცდილობდნენ მუშათა და გლეხთა მთავრობის ჩამოგდებას, მაგრამ ვერ მოახერხეს. ესეც ცოტაა. ყველაზე უდიდეს მტრად ლენინს ასახელებდნენ და ამიტომაც ჯერ კიდევ 1918 წ. ერთი ქალი მოისყიდეს, რომელმაც ლენინი რევოლუციით დასჭრა. მართალია, ლენინი მოარჩინეს, მაგრამ ჭრილობა მაინც აწუხებდა,

მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენის შემდეგ ყველაზე დიდი მუშაობა ლენინს დაატყდა. ყველაფერზე მას მოუხდა ზრუნვა და ფიქრი: როგორც სახელმწიფოს ახალ მოწყობაზე, ისე იმაზე, რომ მთელ ქვეყნის სახელმწიფოებშიც ასეთივე რევოლუციები მოეხდინა და იქაც შეექმნა წმინდა მუშური სახელმწიფოები. დიდმა შრომამ ლენინი დაასუსტა და მძიმე ავადმყოფი გახადა. 1922 წლის დამლევადან ის თანდათან სუსტდებოდა. მას სიღამებლევ შეამჩნიეს როგორც მკლავსა და ფეხზე, ისე ტვინში. მართალია, დიდი ექიმები დაახვიეს, მაგრამ მაინც არა იქნა რა და ამა წლის

21 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სამუდამოდ დახუკა
თვალი.

* * *


თქმა არ უნდა, რუსეთის მშრომელმა ხალხმა
ლენინის სახით უდიდესი მფარველი და გზის მჩვენ-



ლენინი.

მარქსს—მისი ღრის მუშები. უდიდესი
რაც ანუგეშებს ყველას, ეს ისაა, რომ ლენინმა
უკვე მოასწრო თავის ნათელი აზრების მრავალ
წიგნში გამომზეურება. ყველა ხარბად ეწაფება მის
წიგნებს, მათ სთარგმნიან ყველა ენებზე და სურთ,
რაც შეიძლება ადრე განახორციელონ მისი აზრები,
რომ აღარ გვხვდებოდნენ აცრეკლებული ბავშვები,
არც ობლები, არც ღარიბები, არც ხალხის მყვლე-
ფელნი, არამედ დამყარდეს საყოველთაო ბედნიე-
რება, საყოველთაო სიყვარული, შრომა და ღვინო...

დ. კ-ძე.



მეგ ლენინი

ქვითინებს მთელი მიდამო,
გახვეულია ზეწარში,
არ ისმის შვების სიცილი
აღარც აქ, აღარც ზეცაში!

მოდან შავი დროშებით...
შეწყდა ზუზუნნი ქარხნების,
ქალაქი, ქუჩა, სოფელი
მოსუდრულია თალხებით!

აპობენ: მეხი დაგვეცა,
დავკარვეთ დიდი კაცია,
იმგვარ ხელმძღვანელს ქვეყანა
ვერ დაიბრუნებს აწიო!

ბელადი ვინმე ყოფილა,
სახელად ერქვა ლენინი,
თურმე ის იყო ხალხისთვის
მფარველად გადმოვლენილი!

უყვარდა ხალხი დაბიო,
იყო ყველგანა ქებული,
იბრძოდა დაუღალავად,
ძმობისთვის თავდადებული!

დღეს ჩაესვენა დიდება
ნადველი ჰფარავს მიდამოს,
ტირიან: წინამძღოლობა
აწი ვინ უნდა ითავოს?

მაშ, წამოდექით, ბავშვებო,
დიდ ლენინს მით ვსცეთ პატივი,
შევფიცოთ: გულში მის სახეს
ვატარებთ მუდამ ხატივით!

აღ. მაშაშვილი.

ნებელი დაპკარვა, მაგრამ განა მარტო მან?—მთელმა
ქვეყნის მუშებმაც. ამიტომაც, დღეს უფრო შეგნე-
ბულად სტირიან ლენინს მუშები ყველგან, ვიდრე

გულუვის დღე ლაღინის ხსენებას

სიტყვ. ს. უელოვის.
მუს. მ. თაყაი-ჩიქოიძისა.

Adagio doloroso.

გულუვი
ფორტე-პიანო

1. დღის სა - შა -
2. დღის - ღოთა ღვა -

ლეგიტო

ბი - ი - ბა - ლეის
გლო ვაბ ყ - სიუნს
ბის, ჩვესბე ღოთის
მღრმელოთადაცა

ლეგიტო

ნიუნს, დღის ღოე ა - რის
წი. დღის ღოე გლოვის
სეუ - და ჭავ - რის,
და - ნა - თი - ვის

rit. *pp* *dim.*

სა რე - ბის, რე - ბის, რე - ბის, რე - ბის,
სა რე - ბის, რე - ბის, რე - ბის, რე - ბის,

pp *dim.*

1. 3. *poco vivo.*
2. *Ma poco vivo.*

და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის

pp *dim.*

3. *poco vivo.*

და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის

pp *dim.*

და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის
და - ბი რე - ბის



ახალი წელი

(სურათი)

სტენა: მთა-გორიანი ადგილი. წინ სსსფსა. უკან ქარ-
ხნის ბუხრები. ბინდა. მთაზე მოხუცი ზის, დაღონე
ბული, რომელსაც უჭირავს შავი დრამა, დახრილი, ირ
გვლავ უწევია სამხედრო იარაღები, გულზე ღებთა აქვს-
გადაგდებული, წარწერ. თ—, 1923 წ.“ სტირას წარ-
სულს. ისმის ქარის კივილი და ბორბოტ ძალთა ზუსხუნი.

ბებერი: ათას ცხრას ოცდასამი
წელი ჩემებრ ვატარე;
და მათელ მსოფლიოს გულზე
სისხლის წვიმა ვალვარე!.

მხოლოდ ერთგან დავმარცხდი,
და გავხდი მე ვერაფერს;

ფეიცავ კაპიტალის სულს,
თუმც ვცდილობდი, ჰუღამ, ბევრს!

ზარბაზანი დეჟანგლა, —
და თოფი გამებზარა;
თუმც სხვა საშუალებაც
თან მე ბევრი მეზარა.

მაინც ვერ მოვიყვანე
ჩემს ჰკუთხე ისინი;
დამიპარცხდა საზარლად,
გესლის ნთხევა, სისინი...

საბჭოთა რესპუბლიკებს
საიდან არ ვუარე?!



თავისუფლების ლტოლვას
მაინც ვერ ვაუარე!..

ყველგან შემომიტყეს
მომიყვანეს ძრწოლაში;
ბებერმა ეხლა რა ვქნა?
დავიღალე ბრძოლაში!..

ბოროტი ძალნი: ვაი ჩვენ!—დავიღუპეთ!
შენგან რასაც ველოდით,
გავვიტრუვედა იმედი,
და დაიფარა ლოდით!

ათას ცხრაას ოკდაოთხ
წლის იმედი-ლა დაგვრჩა,
რომ ჩავაცვათ კომუნას
შავხოლიანი ფარჩა!

თუ არა და... სამუდმოდ
უნდა ავიღოთ ხელი!
ჯერ-კი სატირლად გვაქვს
შენგან შექმნილი წელი!..

ბებერი: ო, ძმანო! ნუ გამწირავთ!
იმედი მაქვს შეილისა,
რომ ჩემი იარაღით
ის იქ ზარად ივლისა!..

და მთელ ქვეყნებს დაიპყრობს
ის, ჩვენ გასახარადა;
მოველინება ყველას
კაპიტალით—ზარადა!..

ბოროტი ძალნი: ო, ვაშა მას! ვაშა მას!
შენ მსგავს შავაზრიან ძეს!
იმედი გვაქვს, ის მაინც
ჩააქრობს კომუნის მზეს!..

(დაიგრიასლებს. განათლება. მთებს იქიდან ამოდის
ხუთქიმიაში წითელი ვარსკვლავი ზედ ჩაქუჩ-ნამკვლით.)

ბებერი: ვაი-მე! მოახლოვდა
და დამეთვალა დღენი!..

ბოროტი ძალნი: შენ ვერ ივარგე და ის
არის იმედი ჩვენნი!..

ახალგაზრდა: (მთაზე გადმოდგა წითელი დრამა: თ და
ჩირ.დღნით, გულზე ლენტი აქვს გადაკლებული, წარ-
წერით: „1924 წ.“)

მოვდივარ, მომიხარიან,
მე, ყრმა ახალი წელი!
შენ-კი, ბებერო, მოკვდი, —
არ შემიშალო ხელი!..

გზა დამიცალე! აწ შენ
საჯლავში-ლა გაქვს ბინა!
ჩემი წითელი დროშა
უნდა ვატარო წინა!..

(წიხლს ჭკრავს. ბებერი
ღრიალით გადმოეშვება,
კვდება.)

თქვენ-კი, ბოროტნო ძალნო,
ჩემგან ნუ ელით შველას!
ამავე თოფ-ზარბაზნით
დღეს გაგიმწარებთ ყველას!..

შხედავთ, იმედ-ნათელი
როგორც ელვა ისე ვქრი!
კაპიტალის მსახურებს
ყველას საფლავში ჩავყრი!..

ჩემს არსებაში თქვენ
ვერ ეღირსოთ სიხარულს!
იცოდეთ, მე ვაღკივებ
მხოლოდ მშრომელთ სიყვარულს!..

კაპიტალის ქვეყნებსა
ვიწვევ მე ბრძოლის ველზე!
რომ საყვარელ კომუნას
გადავეხვიო ყელზე!..

ძველ სამყაროს ვაფეთქებ! —
მოვალ ახალ ძალებით;
ო, ს დ ხართ, ძმანო! მომყეთ,
თქვენ-კი გენაცვალებით!!!


კეთილი ძალნი:

ვაშა შენ და დიდება!
შენთანა ვართ მარადის!
შენ გიგალობთ, მზიურო,
გამარჯვების კარამდის!..

(მზე ამოდის.
ევაილები ცვივა სტენაზე.
ისმის „ინტერნაციონალი“).

ფ ა რ დ ა .

ს. ერ—ლი.



წყავის უსლოვი

შემოდგომა...

ომი არის ღრუბელთა ჯარის.
საკვიდილ-სიკოცხლის ბრძოლა ასტყდა ცისა
ტატნობზე.

მზე ილტვის სადღაც.. აღარა აქვს მას სი-
ცხოველე.

სცვივა ფოთლები.

დანავარდობს სისინით ქარი.

ცა იღვენთება.

გულჩამ ვლელი არის ეს წვიმა.

ღარდის აღმძვრელი, უფერული ღაღა დღეები:
შემოდგომა!

ღაგვჩხვიან თავზე ყვავები.

ცოტაც კიდევ--და ზამიარს ხელში გადავალთ
ყველა.

ცვალებადია მსოფლიოში სუყველაფერი ..

* * *

ტრადიციების მუნჯი მონა, უღვაშკოკობა,
ცხელის საქრელად ემზადება გორული კოკი,
და „წყავის შტო“-ში¹⁾ წასასვლელად მზად არ. ს

უკვე:

ვერ დასთმობს იგი ჩვეულებას მამა-პაპათა,
კალნდის ეშხმა იმის სულში მოიკალათა...
ნაჯახმა მარღად დაფრბინა აშოლტვილ ცხემ-
ლებს.

მუშაობს კოკი, მარღად აწვენს ცხემლას
ცხემლაზე.

მაგრამ თითქო-და მისდა სამტროდ, თითქო
ჯინაზე, ღრო ჩქარა გარბის. —

მოახლოვდა კიდევ დაისი.

არაფერია, ფიქროს კოკი, ჰა, კიდევ ცოტაც...
და თავს ვანებებ—მივაშურებ მე შინისკენ.

შელამდა უკვე...

მოიწმინდა მან ოფლის ხვითქი;

ნელი ნაბიჯით, დაქანტული მიდის შინისკენ.
აწმყო-მომავლის ფიქრები სცვლის ერთი-

მეორეს:

უმწეო არის გლეხიკაცის მდგომარეობა,
მარადიული მას ვაგლახი არ აშორდება,
დღე-ღამე წვალება — უნუგეშო ყოფნა ძალღუროი...
არსად ჩანს სხივი — და ტანჯვების ზღვის დასა-
სრული...

შეჩერდა კოკი..

უცნაური რაღაც ხმაური მას შეჰოესმა.

შორეული იყო იგი ხმა.

მაგრამ ყალყზე კი დააყენა მყისვე კოკის თმა.

კიდევ და კიდევ...

ახლოვდება თანდათანობით.

ექვი არ არის:

მკლების ხროვა მოდის აქეთკენ.

აუკანკალდა საწყალ კოკის მთელი სხეული.

არ იცის რა ჰქნას!

დაბნეული სდგას ერთ ადგილზე.

ველარც წინ მიდის და ვერც უკან.

თითქოს გაქვავდა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოერკვა ..

გააგდო ცული.

უზარმაზარ ხეს მიაშურა ჩქარი ნაბიჯით

და ზედ აცოცდა გაჭირვებით, ვაივაგლახით.

თავზარღამცემი ახლოს ისმის უკვე ყმუილი.

ცეცხლის თვალებმა გაანათა ყოველი მხრიდან.



უშიშარია თუმცა ახლა მისი ადგილი,
მაგრამ ვაი-თუ გადმოვარდეს როგორმე ხიდან..
წვერზე აცოცდა..

იქ, ტოტებში, ჰპოვა მან ბინა!

ქვეშ ყმუილია,

¹⁾ ტყეა გურიისში.

თვალთნათება,
 აუზაუზი...
 მაგრამ ეს რაა? უცნაური რაღაც ხმაური!
 ვაჰმე, ამ ხეზე ვინ ამოდის ნეტავი, ვინაა?
 კაკა, კაცი — ისიც მწარედ შესაბრაღისი.
 გადაჩენილა — არ გამბდარა მგელთ ლუკმად-
 ისი.

ძიცოცავს ზევიჲ.
 უკვე ისმის იმისი ქშენა.
 ცოტაც და — კოკიმ დაიბღავლა...
 ვერ აღწერს ენა,
 რა იგრძნო იმან,
 რა წუთები არ განიცადა,
 როს კაცის ნაცვლად დაინახა დათვი საზარი,
 რომელიც ქშენით კოკისაქენ ძლივს მიცო-
 ცავდა.
 ირვეა ფიქრი.
 მოუდუნდა მთელი სხეული.
 მტს ველარ შესძლებს და ხიდან ძირს ვაღა-
 ეშვება!
 დათვა მოხვია წელზე იმას ორივე თათი,

ხან მას შესცქერის, და ხანდახან ძირს იყურება.
 ვარსკვლავებით ანათებენ ქვევით თვალები...
 კაცი და დათვი კი არიან გაუნძრეველად.
 აჰა, აისმაც მოაწია.
 გათენდა კიდევ —
 და მგლების ხროვამ მიაშურა „წყავის შტო“ს
 სიღრმეს...

ორი-ღა დარჩენენ: კაცი და დათვი.
 გზა ხსნილი არის.
 დათვა გაუშვა კოკის თათი, ძირს ჩამოვიდა
 და ბაჯბაჯითა ტყის სიღრმეში თვის გზას გაუდგა.

* * *

როდესაც კოკი შინ დაბრუნდა ლასლას-ლას ლასით,
 წივილ-კივილმა შეანძრია იმისი ოდა:
 ვაევაგლახში, მგლის ხროვის და დათვისა ში-
 შით
 საბრალო გლებკაცს თმა ერთიან გასთეთრე-
 ბოღა!!.

შ. ფარცხნაღელი.



სოფელში



ამეა... სოფელს სძინავს...
 ბუხრით ამოღის ბოღი;
 კართან მურია ღრინავს...
 და თოვლი ღნება ბროღი!

შრომის კერა ისვენებს...
 ზუზუნებს ცივი ქარი;
 ცა თვალთ ცრემლით ისველებს,
 ჯერ არსად სჩანს ცისკარი!..


ვარსკვლავების ციმციმი
 უმთვაროდ შლიან ფრთებსა;
 ბებია ტკბილი ღიმით
 ბავშვთ მოუთხრობს ზღაპრებსა!

და ლამაზი არაკი
 შვილიშვილთ ტკბილ ძიღსა ჰგვრის;
 ბუხრით ცეცხლის ვარაყი
 ოთახში მკრთალ ნათელს ღვრის!..


ღამეა... სოფელს სძინავს ..
 ბუხრით ამოდის ბოღი;
 კართან მურია ღრინავს...
 და თოვლი ღნება ბროღი!

სეზმან.





მ რ ი ბ ა ვ შ ი



I

უქნის წინ მწკრივებში
დგას ათიოდე ფეხშიშველა
ბავში.

ხელში უჭირავთ მო-
კლე, ტალახში ამოსვრილი
შოლტები და სულგანაბუ-
ლიისმენენ უფროსის და-
რი გებას.

კედელზე ნახშირით შე-
მოხაზული უშნო, ტანჩა-
კეცილი წრე ჰმოწმობს
მხატვრის უვიცობას.

წრეა—მსროლეთა ნიშ-
ნის ამოსაღები. ვინც ამ
წრეს ტალახს გადააცი-
ლებს, უფროსის ბრძანე-
ბით რიგში ყველაზე უკან
მოთავსდება.

„იარაღს“ მსუბუქად ავ-
ლებენ ტალახში.

ზოგი შოლტი ტალახით
დამძიმებული მოგრებილია
და ზარმაკად სწორდება

წელში პატრონის ხელის მოქნევაზე.

ზოგს მათაღ მოსცილება ის, პატრონის
შეუმჩნეველად, მაგრამ უკანასკნელი ამას ყურადღე-
ბას ნაკლებად აქცევს, მაინც დ ჟინებიით აშრილებს
ჰაერში შოლტს და მონახვედრს ეძებს ნიშანში.

— ერთი, ორი, სამი—და ბავშვების გას-
როლილ ტალახს კედელზე ზედიზედ ტყაცუნი გა-
აქვს.

რაზმი უცებ დაიშლება და ყიჟინით წრისაკენ
გაეჭანება.

ყოველ ასეთ შემთხვევაში ბავშვთა შორის
მოსალოდნელია მუშტი-კრივი.

— ეს ჩემია, ეს ჩემია—ბჭობენ წრეში თა-
მამად მოხვედრილ ნიშნის შესახებ. ყველა თავს
იწონებს და ამაყობს.

ტალახი ტალახს ჰგავს და უფროსსაც ხში-
რად უძნელდება ამის გარკვევა.

ის ხმამაღლა მყვირალებს ქებით დააჯილდო-
ვებს და წრის გარეშე უნუგეშოდ ატუზულ ტალახს
ყველაზე უმცროსს და მოარცხვს მიასაკუთრებს.

ასეთია დურჩანას შეხედულება სამხედრო
კანონზე.

შემოდგომაა...

სოფელში პატარა მდინარეები ხშირი წვიმისა-
გან ირევიან.

ამღვრეულ სახით ვვლინებიან ახლო მიდამო-
ებს და თან მოაქვთ მცხოვრებთათვის უმეტესად
ზიანი და იშვიათად—ხალისი. ვისაც სიმინდი მო-
ტეხილი აქვს და ჭალა გადაწმენდილი, ის ხომ
მომავალში იმედით დაჰკურებს მდინარისაგან განო-
ყიერებულ ყანას! ეს დღე განსაკუთრებით ბავშვების
საზეიმო დღეა.

ბავშვები გარბიან მდინარისკენ და გაწმენდილ
ჰერზე უსაზღვრო სიხარულს ეწევიან.

ერთი დასი ბავშვების, ზოგი თავ ფეხ შიშველი,
ზოგი პერანგის აპარა, იხვევივით ჰყუმპალაობს
წყალში და მოუსვენრად ეზიდება წყლისაგან მონა-
ტან ფიცრების ტივს.

აგერ უნნიშვნელო რაღმართში წყალი გველი-
ვით მიიზღაზნება და ხანტად აბრუნებს ჩალისაგან
გაკეთებულ ბორბალს.

ჩალის ბორბალ!

ბავშვების პირველი ცდა „ხელოვნებაში“. ისინი
გამალებ თ ადევნებენ თვალს თავის „ტეხნიკას“.

ხანდახან ბორბალი ურიცხვი თვალის ცქერი-
საგან თითქოს განგებ ჩერდება და ჰაერს გაჯავრება
გამოიწვიოს ბავშვებში, მაგრამ უკანასკნელი ამ
თვალთმაქცობას არ დააცლიან:

მათ ჰყავთ ამორჩეული ერთგული „მემან-
ქანე“, რომელიც, მოთხოვნილებსამებრ, ყავრით
მოდენის წყალს და მანქანას ავარჯიშებს.

სტკბება.

უსაზღვროა ბავშვების სიხარული.

მათი სიცილი ნაკადულის დაულეველი ბუტ-
ბუტია.

მათი ხმაური სოფლის განცხოველების სიმ-
ბოლოა.

სოფელი ბალია ცხოვრების, რომლის ცოცხალ
ყვავილებით ამობურღულ გულში იბადებიან და
იზრდებიან თავისუფლების კრავები ..

ვარდენას გამარჯვებულად მოაქვს თავი. მან



შეერთებულ ხელის მუქებისაგან ძაღლის თათების და ყოველგვარ ცხოველების ფეხის კვალის ამოჭრა მოიგონა.

ამ მიმართულების მოტრფიალე ბავშვები, კურდღლის ბაჭებივით მუხლმოდრეკილი ჰყრიან ტალახზე და თავისთავად ეტანებიან ცდას.

თითქმის ნახევარი ქცევა მიწათხის და ძაღლის ნაბიჯებით მოწვევლეს.

კვალი ერთი-მეორეში ისეა არეული, რომ პირუტყვებშიაც მომხდარა ერთგვარი შეთანხმება და ჯირითი გაუმართავთო—იფქრებს აღამიანი.

— ქაკ-ტახ, — კენჭებსაც თამაშობენ.

დურნიანს რაზმა ერთხელ კიდევ ხმაურით გაისროლა უსულო თოფები და ხა ჩაიკმინდა.

არემარემ უპასუხა მას ასეთივე ხმაურით. სამაგიეროდ, მდელქნე ზალიკას ხრინწიანმა ხმამ დაარღვია მყუდროება.

— ღმერთი რატომ არ გააჩუმებს ამ ეშმაკის შვილებს!

იწყევლებოდა ზალიკა და მოგრებილ კომპლით მისდევდა გაფანტულ ბავშვებს.

— აკი ეს დუქანი ტალახით მოუტყუებიათ! დამაცათ, მე თქვენ!

ბავშვები წივილ-კვილ მირბიან და შოლტებს ჰაერში ათამაშებენ.

დურნიანს სიღინჯე გამოიჩინა.

დიდკაცურად ჩაიწყო ჯიბეში ტალახიანი ხელები და ამაყად გაუდგა გზას.

ხშირად იხედება უკან.

თუ ვინცობაა გაჯავრებული ზალიკა იმასაც ჩათვლის დამნაშავედ, მაშინ ისიც სხვასავით იკადრებს გაქცევას ტალახში.

მაგრამ ასე არ მოხდა, იმედგაცრუებული ზალიკა მიიმალა ეზოში.

მამისაგან გათამამებული ზალიკას ერთადერთი ბიჭი ფეხდაფეხ მისდევდა.

ხელში უჭირავს ორად დაკეცილი მამაბაჟური სარტყელი და იგინება.

დურნიანა შეჩერდა.

— რა გინდა, შე მაიმუნო?

ბოჩოჩიამ სარტყელი მოიმარჯვა.

— სთქვი მეთქი!

— რა მინდა და შენი გალახვა.

— სსს—ასისინდა შოლტი— „მოდი აბა, თუ ბიჭი ხარ? ამას ისე გადაგიშლი ზურგზე, რომ თავი ვეღარ იცნო!

მუქარამ ცოტა არ იყოს შეაჩერა ბოჩოჩია. უკან დაიხია.

აქეთ არ მომეკარო, თუ არა, დედა ნუ წამიწყდება, ამ თათრულ მანიკით გაგიხეთქ თავს!

იუქრებოდა ბოჩოჩია და თვალდახუქუღად

იქნევდა სარტყელს გარშემო.

— ერთ ჩემს ბიჭობასაც გაგაცნობ—დაიკვება დურნიანს და შოლტმა დაიშხულია, ბოჩოჩიას ხელიდან სარტყელი გაუფარდა და უინიანი ყვირილი მორთო.

— ვაიჟე, მამაა!— მოესმა ზალიკას.

— ბიჭო, რა დაგემართა?— გადაიყვილა სიომ. ბავშმა ტირილს მოუმატა.

აღერსს ელის.

— რა ამბავია, შვილოა?!

— დურნიანს ჯოხი გადამკრა— იტყუა ბოჩოჩიამ.

ზურგზე ხელს იტათურებდა.

მინანდარმა აუწია ბავშს პერანგი. ვაიმე, ბავში მოუკლავს, ღმერთო, ნუ გაზრდი იმას!

ბოჩოჩიას შოლტი ბეჯითად მოხვედროდა და ალაგ-ალაგ ცისარტყელასავით ამობურთულიყო გალახული სისხლი.

— ა, ქალო, შეხედე ამას, ბავში კინალამ მოუკლავს, ღმერთი ნუ გაგიზრდის იმ ოხერს!— საყვედურით მიმართა მინანდარმა შუა ეზოდან მომავალ ძობუს და ბავშიანად სახლში შევდა...

სალამოს ბინდი მოულოდნელად შემოიბარა სოფელში...

სიმწუხარისაგან სახეგასივებულმა მშემ უკანასკნელად მოავლო ღმობიერი თვალები დედამიწის მრავალფეროვან სიკრცეს და მთვრალივით ზღვაში ჩაესვენა.

ცის უდაბნოში ზარმაცად მიიკლავნება ღრუბელთა ქარავანი.

ვარსკვლავებმა სიცილით იგრძნეს მთვარის ამოსვლა და აღისფერი კალთა დაიბერტყეს.

აგერ ერთი ახალგაზრდა ვარსკვლავი საცოდავად მოწყდა სამშობლო ცას და ვლაცას ეზოში დაეცა.

— ეს რამეს ნიშნავს... ფუსფუსობენ დედაკაცები.

მახლობელ ეკლესიაში მიწყდა ზარების ხმა.

შეღამდა.

სოფელს ძალი ჰმართებს.

ძილი სიბნელეში— ღამით.

ო, რა საშინელებაა ძილი, განსაკუთრებით სოფელში, სადაც ქალაქისებურად არ ბზინავს მიწიერი ვარსკვლავები! სადაც ქალაქისებრ არ არის ხმაურობა ნერვიული.

სოფელი სიკვდილისფერ სამოსელში ეხვევა.

კვდება სიბნელეში, სიჩუმეში.

სიკვდილის ბალდახინს ემსგავსება.

და.. ბედნიერია ის თვალები, რომლებიც ამ დროს უძილობას განიცდიან!

II.

სპირიდონას სახლში ფუსფუსია.

სტუმრებს ელოდებიან, ძობუმ გაპუტა ბებერი ინდაური და შამფურზე ააგო.

მოსამსახურე გოგო ციბრუტივით ტრიალებს.

საჩხარეულოში შეხავებული სურნელებაა.

კერაზე ლომი შიშინებს.

ღურიანას დილას არაფერი უჭამია, თამაშობას გადაწყვა.

— დედი, ამ დილას არაფერი შემინახე?

— სამხარეულოში ღომჩატეხილი რძეა ქოთნით! — შერბინა

— ციც, ციც, ეს რძე მთლად ამოულოკია კატას, ციც — მოისმა სამხარეულოში ღურიანას ყვირილი და ფეხის ბრახუნი, ძალზე გამძღარმა კატამ თავს უშველა, მაგრამ ერთი პანდური მაინც შერჩა,

— გოგო, რძე კატას რათ აქამეთ? — აგინებდა მოსამსახურე გოგოს!

— ბიჭო, ჩემი რა ბრალია, ქერზე იყო ჩამოკიდებული და...

— იი, შეგირცხვა ნამუსი, სად იყავი ამ დილას?

გოგო, შენ მაინც კარგ ალაგას ვერ შეინახე? უსაყვედურა ძობუმ მოსამსახურე გოგოს და მუგუზალით მთვლემარ ცეცხლს შეუტია — მოიცა ბიჭო, მალე იქნება სადილი.

ღურიანა აცრემლდა.

მამლებმა ერთხელ კადევ იყივლეს სტუმრის მობრძანება.

შემთხვევით კოვზიც ატირდა იატაკზე.

გაიღო ჭიშკარი.

— მოდიან — პერანგის სახელოთი მოიწმინდა ღურიანამ კრემლები... და მოკურცხლა ჭიშკრისაკენ...

ბებრი ხანია ბიძა არ უნახავს.

ღოროთემ შუხის ძირში შეაჩერა ცხენი.

კოლიც ჩამოიყვანა.

ამასობაში ღურიანაც მოფრინდა ქაქანი.

— ჩემს ღურიანას სიცოცხლე — გაჰკოცნა ღოროთემ.

— ეს რა დიდი კაცი გამხდარა? — დაუმატა კოლმა...

— ცხენებს უნაგირი მოვხსნა?

— ჯერ არა, ღურია, ბებრი იჯირითეს საწყლებმა, მხოლოდ ახლა მათ სიმინდი დაუდგი გობით!

ახლავე.

შევიდენ სახლში.

კარზე დახვდა ძობუ...

— კერიას ნახშირი — მიუსაყვედურა ძობუმ თავის რძალს! ძმაო, ასე უნდა დავიწყება?

— ყანა მქონდა ასაღები და საქმეს ახლახან მოვრჩი, ჩემო ძობუ! — მიუგო ღოროთემ. სპირიდონაც მოვიდა.

— კაცო, ჩვენსკენ ერთი ნამცეცი არ დაცემულა ციდან და აქ რაებსა ვხედავ. ოხო, ხო, ხო, ღმერთო ჩემო, რა ვნახე? გლეხებს შეეკრათ წყალი და თევზებს ზვერაფდენ! ხო, ხო, ხო, ღმერთო ჩემო, რა ვნახე?

— სად, კაცო?!

— აი, აქ, კიკნას შუკის შესახვევში! შენ სად იყავი?

— სად ვიყავი ძმაო და ქალა ვინახულე, მაგრამ ვაი შენს მტერს, მთლად მოუგლეჯია წყალს დატარებული სიმინდები! ფუ, ამგვარ ამინდს.. სხვა, რა ამბავია თქვენთან?

— რა ამბავი, ჩემო ზალიკა, ხომ იცი, მიწა, ეზოს გარდა რაც მქონდა, ყველა ჩამომართვეს. რალაც ოცი კალათი სიმინდი ავიღე ეზოდან და იმას შევეყურებთ, მერცხლის ბარტყივით, მთელი ოჯახი. „ნადელი“ მოსპეს და ვისაც მცირე ნადელისათვის ქურდულად მიგეცი მიწა, არც მისგან ველი ახლა არაფერს. დახმარება არსაიდან მოველი. ეს მთავრობა მაინც ჩვენი ჭირის გასაჩენად ყოფილა მოვლენილი! შენ აზნაური ხარო, მიწა რათ გინდაო, მეუბნება ვილაც გამოცულებული გლეხი.

ეს ყურუმსაღები ასე რო როზავენ, განა ჩვენ ჰამა-სმა არ გვინდა? — ვცი, ჩემო ზალიკა, დღეს თუ ხვალ შიმშილი მესტუმრება! შიმშილი, ეს სიკვდილის უმცროსი ძმა! რა ვქნა, სად გადავვარდე, არ ვიცი! ღმერთმანი, კოლშვილი რო არ შიმშილდეს ხელს, გადავვარდები სადმე ქალაქში და მეც ვიკადრებ კურტნის ზიდვას დღიურ ლუკმა პურისათვის!

— ასე მოუვიდა აგერ ჩვენ მეზობელ ზალიკას. ღუქნით ირჩენდა თავს! არც თოხნიდა და არც თესავდა! ცხოვრობდა „ნადელით“. ნადელი ახლა არავან მისცა! ღუქანი კი გაკოტრდა და კაცი გაბრუებული დაეხეტება. ყველაფერზე აუტრუვდა გული. დაათრევს ძველებულ, დაქანგებულ, ორპირიან თოფს და ყაჩაღივით დადის ტყეში.

— მაშ, მაშ, ასეთია დღევანდელი სამართალი.

— გუშინწინ ბითხრა: „კაცო, რა წყალში ჩივვარდე არ ვიცი. გავყიდი ამ სახლს, ამ ღუქანს და წავალ ქალაქად“ — ო.

— მაშ, მაშ, მდგომარეობა გაიძულეხს, ჩემო სპირდონ!

— ქალაქი ასწილად სჯობია ახლანდელ სოფელს!

— ქალაქში ყოფნა ახლა ბედნიერება!



— რა ვიცი, კაცო, ეს საწყალი მიწის მუშა, რომელიც დღე-ღამე მიწას დაჰყურებს, რომელიც საშინელ სილატაკეშია ჩავარდნილი, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც ერთ წყვილ პერანგისთვის ერთი წლის სისხლიან ოფლით მონაპოვრის გადახდა უხდება! სიმინდის ფასი მთლად დაეცა და საქონელი ძვირდება! რა საშვალეებით უნდა დაიფაროს ტიტველი ტანი გაძარცვულმა ხალხმა?!

— ქალაქი, ძმაო, ქალაქი! ვინც ცოცხალია და გამბედავი, ახლა იქ იხსნის თავს!

— თქვენი დღეუფანი თუ იკებს რასმე?

— იმდენი აუშენდა მის გაჰყიდველს ოჯახი! ჯერ ცხენების სიმინდს ვერ აუველით! აი, რა ძალზე გამხდარნი არიან! — დორთემ ეზოში ცხენებისაკენ გაიშვირა ხელი — ისიც ცხრა კაცის საამხანაგო! უწინ, სანამ ხიდეს შეაკეთებდნენ და მატარებელი დაიწყებდა სიარულს, ხარჯს ვასწორებდით! ახლა ხიდეს შეაკეთეს, მატარებელიც დაჰკვივს, ჩვენი მაზანდაც დაეცა! სულით და გულით გვინდა როგორმე გავყადოთ, მაგრამ არავინაა მყიდველი! სპირიტონა ჩაფიქრდა.

— ასეა! ჩვენ ისევართ აღზრდილნი, რომ ყოველივე ჩვენს წინააღმდეგ მიდის!

ჩვენთვის, მხოლოდ ჩვენთვისაა ცხოვრება სხვანაირი, ახალი ცხოვრება იგივე სიკვდილია. ორივეს მონები ვართ! დღეს ჩვენ ცხოვრება გვებრძვის, ჩვენ ვებრძვით მას, როგორც მომაცდელი სიკვდილს...

— სადილი მიირთვიეთ — ყურადღება მიიპყრო ძობუმ.

აიშალენ...

მადის აღმძვრელი საქმელებით აწყობს მაგიდა. ღვინოც არის.

ჭამა საუბარი უხვადაა...

სპირიტონამ რამოდენჯერმე ააკნავლა მაგიდის ქვეშ მონადირე კატები. ღურჩანამ წინდაწინვე გამოიწვა პირი ცხელი საქმელებით: დილიდან უქმელი გახლდათ. ზის უღარდელად ყადაღრეჯილ დერეფანში და უცქერის ცხენების ზურგით კოტრიას!

— თუ პატრონი გწამს, კიდევ გადაბრუნდი — იმკორებდა ღურჩანა.

მას სოფლის ეს ჩვეულება ბაბუამისმა შეასწავლა: „ცხენს მიწაზე კოტრიასის დროს თუ პატრონს დააფიცებ, კვლავ გადაბრუნდება“ — ო, ახსოვს ბაბუას სიტყვები.

— თუ პატრონი გიყვარს, კვლავ გადაბრუნდი! — უხარია... გულში იცინის.

— ო, ახლა მასზე შეჯდომა და გაჯირითება? თუ არ ჩამოვარდა, მის ძმა ბიჭებს ხომ გააოცებს? მოდი ერთი, თხოვოს ბიძიას, რა იქნება?

უარი.

ცხენი ორივე ფიცხია, ღურჩანას კარგ მოზრდილ ბიჭად მოაქვს თავი, მაგრამ წელან უნაგირი ძლიერს მოაცილა.

შეჯდომას ვინ გაბედავს.

რა ვუყოთ, თუ მოზრდილი ბიჭია!

მაინც ვერ გაბედავს!

ფიცხია ცხენები.

ცხენზე არ შემჯდარა მარტო!

არ იცის ცხენის ხასიათი.

კამეჩებზე რქებიდან აღის ხოლმე და კატასა ვით ზურგზე მოახტება.

ღურჩანა — მოისმა ხმა ოთახიდან.

რა გინდა, მამა?

— აბა, ღურჩან, ყურძენი მოგვიკრიფე — ლმობიერი ხმით მიუგო სპირიტონამ.

— ნელა ადი, არ ჩამოვარდე!

ეზოს უკან ღურჩანას ბევრ აღიავას ეგულე ბოჯა აბარდული ვენახები.

— ბავშს ხეზე ნუ გზავნი, მამაკაცო!

ურჩობდა დედა.

ხეს წვერვალამდე ეხვეოდა ვენახი გვერივით, საიდანაც მწიფე ყურძენი აჯადოებდა ადამიანს. მაგრამ იმ კენწეროზე ასვლას ღურჩანას გარდა იერავინ გაბედავდა.

ხე მაღალია. ღურჩანა სწრაფად ახტა ხეზე და თუთიყუშივით ტოტიდან ტოტზე გადადის.

წამს კენწეროს მოეგლინა.

კარაჩხა ზურგზე მიიკიდა და ყურძენის კრღვა დაიწყო.

მას სულ არ შეუმჩნევია, თუ როგორ თამაზად მოაჯდა ყვავი ხის მწვერვალს მის თავზე

— ყვა, ყვააა!

— ფუ, რა საშინლად დაჩხავის ეს საძაგ... — გერ დასრულა

ინსტიქტიურად იგრძნო თავში ტკივილი. ოდნავ გაიგონა შორიდან თოჯის ხრინწიანი ხმა...

და გრძობა დაკარგული ძირს ჩამოეშვა.

— დედა, დედა, საცა დავად კენესოდა ღურჩანა უკანასკნელად მოაფლო თვალი ყურძენს და გაჩუმდა!

— გამეფრინდა — უიმედოდ ჩაილაპარაკა ზალიკამ და თოფი დერეფანში ჩამოჰკიდა — ძალიან შორიდან ამოგულე ნიშანი. ახლოს არმიგვიკარებს. ასეთია ყვავის ხასიათი, უბედურებას წინდაწინ იგრძნობს. კიდევაც გამეფრინდა. ფრთები მაინც რომ მომეტება, ძალიან გამიხარდებოდა, მე და ჩემმა ღმერთმა!

მან მთლად გააწყალა წიწილები!

ზალიკამ არ იცოდა, თუ ყვავის მაგივრად რა ინადირა.

სუფრაზე ელიან, ყურძენით დატვირთულს ღურჩანას! ის არ იცინა, რომ უბედური ღურჩანა მუ-

ხის ძირში საშინლად ხრიალებს.

არავის ესმის მისი ტანჯვა!

არავინ რცის მისი ამბავი!

დედამ, საწყალმა დედამ შეიბრალო ის წინდაწინ. — ის ბავში სად გაქრა ამდენ ხანს! — შეეჭვდა ძობუ. საცაა მოვა... ღურინას სისხლის ტალღაში სძინავს ნაზად. დაიღუპა.

ვინ იცის, რა ვალს დააკისრებდა მას ცხოვრება! დაიკარგა.

ახალგაზრდურმა გაქანებამ და უფროსებისადმი ერთგულებამ დაღუპა ის.

ცის ეტრატს მოწყდა უნებლიეთ და უკანონოდ ნორჩი ვარსკვლავი და... ჩაჰქრა.

მოუხეშავმა ტყვიამ მოულოდნელად გააჩუმა ლმოობიერი ბაგე, რომელიც ქვეყანას ვინ იცის რას ეტყოდა!

ვინ იცის, რას მოასწავებდა მისი იღუმალი თვალები და არაჩვეულებრივი ხასიათი?

ღურინა მოწყდა ცხოვრების ტოტს, რომელიც წითელ ფიქრთა მტევნებით იყო დატვირთული. დღეს შაბათია... ატირდა ზარი... ხმაურობს ეკლესიის ეზო.

ო, მღუმარების ზღუდევ!

ვის დასტირი ასე მწუხარედ!

ნუთუ იგრძენი ამ მუხის ქვეშ სისხლში მწოლარე, რომლის პაწია ხელებს ბევრჯერ შეუწუხებინარ.

ზარი... ყოველ აღდგომას ღურინას თავის ამხანაგებთან უყვარდა ღამის თევა ეკლესიის გაღვანში.

მას უყვარდა მარცხენა ზარის წკარუნი. ახალისებდა ზარების მელოდირი სიმღერა, რომელიც ნესტიანად მიჰქონდა ცაში ეკლესიის მოწყენილ სიოს და უნუგემოდ ჰფანტავდა. საბრალო ღურინას სული მორბოდა საყვარელ ოჯახს, სადაც ის მყუდროებას არღვევდა.

საბრალო დედა, ნუთუ შენ მოელი სუფრაზე ყურძნით დატვირთულ ღურინას. არა, ის მსხვერპლია საბედისწერო სიკვდილის!

არავინ ხედავდა, არავინ გრძნობდა მის ტანჯვა-წამებას!

მხოლოდ ბებერმა მუხამ იცის ყველაფერი. მივიდეთ მასთან, ის დაგვანახებს სისხლში მობანავე უსულო გვამს, მომწყდარს მის ტოტებიდან.

შებნე, დედა, შენ შეიღოს სიხარულის ღიმი მკვრის ბაგეზე და სტკბება სიკვდილის განცდაში. ო, რამდენი ცრემლი აგორდება მშობლების თვალებში!

სიჩუმე უცნაურად დაიკვივებს სპირიდონას ეზოში!

გულდამწვარ ცხოვრების მწვერვალს მწუხარება წივილით მოველინება და სამუდამოდ მიიძინებს!

— არა, გული სულ სხვას მიკარნახებს, იმ ბავშს, ღმერთმანი, ფარსავი რამე არ დაემარო!

— ნუ გაგზდები, დედაკაცო, მოუთმენელი რამ ხარ!

— აბა, სა ჯანაბაში გადიკარგა?

— საცაა მოვა — არაფრად ჩაავლო სპირიდონამ ცოლის მოუსვენრობა.

სტუმრებიც ამშვიდებდნენ ძობუს.

მან იურჩა, დატოვა სუფრა და სირბილ-სირბილით გაქანდა მუხისაკენ...

— ღურია, ღურია — მოისმა შეშინებული ხმები. პასუხი არ ისმის.

ფიქრებში გახვეული მუხა ქალწულივით აშრიალდა.

ვინ იცის, თუ რა საიდუმლოებას ხსნის მისი სევდიანი თვლები?

შეიძლება ის თავის სიმაღლესაც სწყევლის, ნუთუ მისმა გადაჭარბებულმა სიმაღლემ ცხოვრების უეციცი და უმანკო შეილი ჩაავლო სიკვდილის საგონებელში, სადაც მეფობს სიჩუმე და გარინდება!

— შეილო, ღურინა, — ღობეში გაღასვლისთანავე საზარლად დაიკვილა დედამ და თავზარდაცემული იქვე დაეცა... სუფრა დაიშალა.

სპირიდონამ დაუთვლელად ჩაირბინა კიე, სტუმრებმაც მას მიჰბადეს, ეზოს დაუსრულებელი წივილ-კივილი აყრუებდა.

გონებადაკარგული დედა დაჭრილ ძერასავით ფართხალობდა სისხლში და გვამს ჩაფერფლილ თვალებს უკოცნიდა...

საცოდავი იყო ღურინა. მისი უიმედოდ გაჩერებული თვალები ადამიანს გლოვის მორევში გადაკარგვას უკარნახებდა.


მისი მოხდენილი წამწამები ცრემლებს სწვიმდა ადამიანის გულში.

მისს გაღურჯებულ სახის სარკეში კრთოდა სევდის ქანდაკება სიკვდილის ქოშებით... პაწია გათეთრებული ხელები, ვილასაც დასაქვრად წინ გაშვებული, სიკვდილს გაეყინა და ჰაერში გაჩერებულიყო.

— არიქა, წყალი... ფერშალი...

მაგრამ ღურინას ვერაფერმა უშველა. გასინჯეს. ჭრილობა ტყვიას დააბრალებს. ამ ახალმა ამბავმა გაორკეცებული საოცრება გამოიწვია ჭირისუფლებში.

რაფერი? როდის?



სპირიდონას სუფრას თოფის ხმა არ სმენია.

შეიძლება ბევრმა გაიკონა... მაგრამ ეხლა ხომ მწუხარების სუღარა გადაეფარა ყოველივეს. გამოიძიეს... დაატყვევეს ზალიკა... ო, მეზობელო, შენ მიგიძღვის ცოდვა უდანაშაულო ბავშვის სიკვდილი-ში?..

დამწვარ ცრემლებით გამოიტირეს ღურიანა. ეკლესიის ეზოში ჩაატარეს.

წვიმიანი დარი იდგა.

ნისლით შეზარხოშებული ქარი ზარმაცად მიაგან-გაშებდა პროცესიის ცაში გაფანტულ უნუგეშო წივილ-კივილს!

დამარხეს. ღურიანას სდარაჯობს ისევ ბებერი მუხა, რომელიც ყოველ ქარიან საღამოზე შემო-ლილ ლანდებით მოგვლინება მის ძირში მწოლარე საფლავს და ზედ დამქნარ ფოთლებს დააფრქვევს ყვითელი ცრემლებით!

III.

მოწყენილია სპირიდონას კარ-მიდამო. შემო-ლილი ძობუ შურისძიებით აღესილია.

ზალიკა მეორე დღესვე მიჰყავთ ქალაქის ციხე-ში ხელებგაკრული. მისი ერთადერთი მემკვიდრე ბოჩოჩია და მეუღლე მინანდარა პატრონობენ ოჯახს. ეს ორი მეზობელი საშინლად მტრობენ. მინანდარას კარჩაკეტილად ჰყავს შვილი: ეშინია შურისძიების. ეჭვის თვალით უცქერის ყოველივეს.

დღეს ძობუ არაა სრულ ჭკუაზე.

მეზობელს ამოწყვეტას დაემუქრა.

ერთ ქარიან დღეს ძლივს გადაარჩინეს ზალი-კას სახლი ცეცხლისაგან.

— ის დედაკაცი რათ აყენებს შვილს სახლში?

— დედა, რა გავიგონე?!

— რა?

— ძობუ ყველას უმეღავენებს თურმე თავის განზრახვას. უთქვამს: „ზალიკამ ერთადერთი შვი-ლი გამომაცალა, მაგრამ არც მის ბოჩოჩიას და-ვაყრი ხეირს, წიწილივით მოეუგრებს კისერს“-ო.

— მაშ, ყოველივეს ელოდეს კაცი [იმ გადა-რეულ დედაკაცისაგან.

— ცოტა მწუხარება დაატყდა იმ უბედურს? შვილო ღურიანა, რა მშვენიერი ბაღანა იყავი! აბა, თუ გახსოვს, სპირიდონას სახლში რამდენიმე დღის უკან, ციდან ვარსკვლავი რომ დაეცა... და ჩვენ რა ვთქვით მაშინ?...

— მახსოვს.

ბაასობდა დედა-შვილი. შეუმჩნევლად გაიარა წლებმა.

მიწყნარდა გახელებული მოგონება.

წარსული დავიწყების მორევს ჩაბარდა.

ღურიანას საფლავი ღურჯმა ხავსმა დაფა-რა, სპირიდონა მოდუნდა მწუხარებისაგან. სახლის დერეფანს სამგლოვიარო ძაძები ჯერ კიდევ არ მოუშორებია. ძობუც დაწყნარდა. ზალიკასი არაფე-რი ისმის...

ბოჩოჩია ბიძასთან ცხოვრობს.

მინანდარა ხშირად ნახულობს მას.

უკანასკნელსაც მობეზრდა მუდამ სახლის გა-რეშე ყოფნა, არ იცოდა, თუ რატომ იყო დაჟინე-ბით ჩაკეტილი სხვის ოჯახში.

სულთ და გულთ უნდოდა დედასთან დაბრუ-ნება.

— მოიცა, შვილო, საცაა წერილს მივიღებთ დედაშენისაგან და წახვალ—აჩუმებდა ბიძიანესტორი. ქარივით მოფრინდა წერილი.

სწერდენ:

„ძაო ნესტორ! პირველად გისურვებ ჯანმრთე-ლობას. მომიკითხე დედაჩემი, ძალო და ყველა მე-ზობლები. ავად ხომ არა ხართ? რას შვრება ჩემი ბი-ქუნა? მე თუ მიკითხავთ, ვცხოვრობ დატანჯულად. ქმრის არაფერი მესმის. ოჯახი აოხრდა! ვინაა მომ-ვლელი? მეზობლებმა ჩვენი ქირი წაიღეს. ძობუ გარდაიცვალა. სამარცხვინოდ გაისტუმრეს. იმედ-დაკარგულმა სპირიდონმა გაჰყიდა ყველაფერი და ქალაქში გადაიხვეწა. აწ ბოჩოჩიას ჩემთან არაფერი უშავს!

— ბოჩოჩიას თვალები გაუბრწყინდა და გულ-ში ჩაეცინა—ამიტომ, ჩემო ძაო, ბოჩოჩია როგორ-მე გამომიგზავნე. ოჯახს მოუაროს!

„ტურას სავანე“ დღისით გადმოიაროს და მე-რე მე დავხვდები დაღმართში, ბესონას წისქვილთან. მშვიდობით. შენი და მინანდარი.

ბოჩოჩიამ იმ დღესვე დააპირა წასვლა. მართ-ლა, დღეს კვირა... წერილს, როგორც ეტყობა, სა-მი დღე დაუგვიანებია. დღეს დედა წისქვილთან იც-დის.

მოემზადა.

მზე ბეჯითად მოიხარა. ბოჩოჩია ციბრუტივით მიათამაშებს შიშველს ფეხებს მტვრიან ბილიკებზე. გზა ტყით დაბურულ მთით არის სავალი. მან ყოყინით გადაირბინა „ტურას სავანე“. მამისაგან გაეგონა, რომ აქ იყრიან თავს სოფ-ლის ტურები.

დედაც ხშირად აფრთხილებდა.

დაუახლოვდა წისქვილს.

მიმოიხედა. ჯერ არავინ ჩანდა.

— მალე მოვა! დაიძვინა გული და იქვე ქვა-ზე ჩამოჯდა.

მოისვენა. წყლით გაიგრილა შუბლი. წისქვი-



ლი ღრიალებდა დაჭერილ გოჭივით. ბოროჩიას გაახსენდა პაწია ლექსი, რომელიც შეთხზა ბიძას სახლში:

„წისქვილო, სოფლის ქირ-ვარამს
შენ ამხელ, შენ აღიარებ,
გიყვარს წყლით შეზარხოშება
და დაჭრილივით ღრიალებ!“.

ნახშირით წააწერა წისქვილის კედელზე. ისევ წამოწვა. ცარიელი სურა თავზე მოიდო. მიეძინა.

ჩაეცინა ძილში. ტკბილ სიზმრებს ჰხედავს.

აგერ გადაეხვია დედას. მიმოავლო თვალი ოჯახს. ეზო შეცვლილა. კულდაცვეთილი მურია შეეგება, მიუალერსა, იცნო და წუწუნით გამოსთქვამს პატრონისადმი უსაზღვრო სიყვარულს.

დედამ მაწონი გამოუტანა. შიმშილი მოიკლა და... გაექანა მდინარესაკენ.

აგერ ცურაობს ამხანაგებთან.

ვილაცამ თავი ჩაუყვინთა წყალში...

— „ვაიმე — აყვირდა ნესტიანი ხმით და ხელები დააფათურა.

ბრჭყალები რკინასავით უჭერდა ყელზე. ბავში საშინლად ფართხალობდა უცნობ ნიღაბის ქვეშ მოქცეული.

— გამიშვა, პატარა ვარ, გამიშვიი... —

გაქვავდა. თვალეზი სისხლისაგან გაუფართოვდა. დაღრეჯილი სახე შემდეგს მეტყველობდა:

— „რატომ მომსპეთ, ურჯულოებო?“

გვამი აიღეს და ორმოში ჩაფლეს.

ერთმა აკრიფა ნაპირზე სურა და ნაკადულს გააყოლა ჩურჩულით:

„ჩემი ქირი წაუღია“.

მათ შიშით გაზომეს ნამოქმედარი და ტყეში გაჰქრენ...

მინანდარას საშინელი სიზმრები აღრჩობს. სამჯერ ადგა. ჭრაქს მოუკიდა. მიწვა. შავად შემოსილი ბოროჩიას ლანდი აშინებს.

— რას ნიშნავს ეს? — გიჟივით ავარდა ლოგინიდან. ფანჯარა გააღო. შუალამე გადასულია. ღამე ცივი... სუსხიანი.

სპირიდონას სახლში ოდნავ ბეუტავს ჭრაქი.

ღროგამოშვებით ფეხების ყრუ ხმაურიც მოისმის...

ეს ხალხი რამ გამოაღვიძა ასე აღრე?! — გაიფიქრა მინანდარმა და ფანჯარა მაკეტა ისევ. სოფელს შემოათენდა.

მინანდარი დილა-აღრიანად ადგა.

გამოხვეტა სახლი. მიაღაგ-მოაღაგა.

მერე ქათმებისაკენ გასწია და ქათმებს გადასახა.. — სიმინდით ასაჩუქრებდა ქათმებს.

ქათმები ფრთხილად დარბოდენ პატრონის გარშემო.

სარჩოს კენკავენ.

აგერ კულდამოკვეცილმა მამალმა, რომელიც ბოროჩიას ბავშობაში უყვარდა, გვერდები შეისწორა და არშიყივით გაერია ქათმებში.

უეცრივ მინანდარი გაქანდა ჭიშკრისაკენ, საიდანაც მას ძახილი შემოესმა.

ქათმებმაც პატრონს მადლობა გადაუხადეს და დაიშალენ.

ყო, ყო, ყო, — იძახოდენ ძალზე გამძლარნი და აღმაცერად ფრთებს ითვალისწინებდენ.

მზემ ოქროს გვირგვინი დახურა აქლემებივით ამოზნექილ მთებს.

ბალახს ორთქლი ადის.

სოფელს გამოცოცხლება ეტყობა.

— რას მეტყვი, ათანას, — მინანდარმა გააღო ჭიშკარი.

— მშვიდობა, ქალბატონო მინანდარ, — მოუსწრო ათანასამ. ათანასას გამხდარი სახე ყოველთვის ცნობისმოყვარეობას ამტკიცებდა.

— რაზე გარჯილხარ?

— ეს წერილი ვნახე გზაზე, წყლის პირად.

შენ სახელზე გზავნიან.

გავიფიქრე: წერილი ალბად ვილაცას შენთვის მოჰქონდა და ნაკადულთან მოსვენების დროს დარჩა მეთქი. ყდაზე აწერია „მიერთვას მინანდარ მშვიდობაძის ასულს, მისი ძმა ნესტორ მშვიდობაძისაგან“.

— მშვიდობით — პატივცემისათვის, ჩემო ათანას, გმადლობთ!

ოთახში შევიდა.

გახსნა წერილი. ჟრუანტელმა დაუარა ტანში. იცნო ძმის ხელნაწერი.

„ჩემო დაო მინანდარ. გისურვებ სიკეთეს. შენი თხოვნისამებრ გიგზავნი ბოროჩიას. ქმრის ამბავი შემატყობინე!

შენი ძმა ნესტორი.

მეორე წერილიც. ეუცხოვა.

„ძმაო ნესტორ! — ჰკითხულობს ბუნდოვანად.

— პირველად გისურვებ ჯანმრთელობას. მომიკითხე დედაჩემი, ძალო და ყველა მეზობლები. ავად ხომ არა ხართ? რას შვრება ჩემი ბიჭუნა? მე თუ მიკითხავთ, ვცხოვრობ დატანჯულად. ქმრის არაფერი მესმის. ოჯახი აოხრდა. ვინაა მომვლელი? მეზობლებმა ჩვენი ქირი წაიღეს. ძობუ გარდაიცვალა. საბარცხვინოდ გაისტუმრეს. იმედლაკარგულმა სპირიდონმა გაჰყიდა ყველაფერი და ქალაქში გადაიხვეწა. აწ ბოროჩიას ჩემთან არაფერი უშავს. ამი-

ტომ, ჩემო ძმაო, ბოჩოჩია როგორმე გამომიგზავნე. ოჯახს მოუაროს! „ტურას სავანე“ დღისით ვადმო- იაროს და შერე მე დავხედები დაღმართში, ბესონას წისქვილთან.

მშვიდობით. შენი და მინანდარი.

-- რაო, მინანდარი?—დაიკვილა.—ვინ დაწე- რა ეს წერილი? ვაი შვილო, ვაი შვილო, ეს რას ნიშნავს, ეს რა ამბავია!! ვგრძნობდი, რომ რაღაც უბედურება მომელოდა. შვილო, შვილო, ეს რა ამ- ბავია ჩემ თავზე, ეს წერილი ვინ დაწერა! ეს ვისი ხრაკია! წუხელ სიზმარში შავ სამოსელში მეველინე- ბოდი! ვაი შვილო! წისქვილთან ვნახეო? ნაკადუ- ლის პირად!

ღმერთო, ნუ შენამთხვევ უბედურობას.

ღმერთო, ღმერთო—ცხარობდა მინანდარი.

უშნოდ ჩაიკვა კაბა. დარაზა სახლი და გზას გაუდგა.

შეშლილივით ჰკიოდა და ეს გულწამდები კივილი რეკდა საშინლად. გამვლელები განცვიფრე- ბით აღევნებდნენ თვალს უგრძობლად მოხეტიალე დედაკაცს, მაგრამ კარგავდნენ რა უკანასკნელისაგან მიზეზის პასუხს, ისევ სულგანაბულად განაგრძობ- დნენ თავიანთ გზას

მზე წამოიხარა.

მინანდარი დაუახლოვდა წისქვილს.

ნაკადულმა ხმა აიმაღლა, თითქოს იდუმალ რა- მეს ამქლავნებდა. ბებერი წისქვილი წელმოხრილად გადაჰყურებს ურჩ წყაროს.

— შუშხუნა წყაროვ, მთლად ნუ მომიღებ ბოლოს.—ამოიკითხავდა გრძნობიერი თვალი მის დაღვრემილ სახეზე.

მინანდარმა უმნიშვნელოდ გადაავლო თვალი წისქვილის კედლებზე ნახშირით გავლებულ ოთხ სტრიქონს, რომელიც გუშინ საღამოს ვიღაცამ წაა- წერა:

„წისქვილო, გლეხის ქირ-ვარამს შენ ამხელ, შენ აღიარებ, გიყვარს წყლით შეზარხოშება და დაჭრილივით ღრიალებ!

— ვუ—რაღაც სუნი იგრძნო.

გაუდგა გზას.

საბრალო დედა, შენი შვილი იქ ვერ დაგი- ხვდება!

ო, თავაშვებულო წყაროვ, შენ იცი ყველა- ფერი, შენ იცი, თუ რა დამართა ბოჩოჩიას!

ამბობ რაღაცას, მაგრამ ყურადღებას არ გაქ- ცევენ, რადგან შენი ლიკლიკი ჩვეულებრივია!

—

ზალიკას ეზოში ურიცხვ საზოგადოებას მოე- ყარა თავი.

ქკუადაკარგული მინანდარი ხელში ეკავათ.

საზარლად ჰკიოდა.

მონახეს თალღი წერილის დამწერი.

ექვი აიღეს სპირიდონაზე.

დაატყვევეს.

გამოტყდა ყველაფერში.

წისქვილის ქვეშ გათხრილ ორმოდან ამოავდეს უღანაშაულო ბავშვის გვამი, რომელსაც სიკვდი- ლის მოლოდინში ხარბად ეტაცა ხელი ხუჭუჭა თმებზე. სახე დაღრეჯილად შერჩენოდა:

— რა ვქენი, რა დავაშავე!—

უმცროსი ძმის საფლავთან დაჰარხეს.

—

სპირიდონა ცემით მოაშორეს კერას.

ასე დაიღუპა ორი მეზობელი.

ამ ორ მეზობელ სახლში სიჩუმე ჩამოვარდა.

ალ. მაშაშვილი.

კარლ ლიბკნეხტი და როზა ლაუქსემბურგი

15 იანვარს შესრულდა ხუთი წელიწადი, რაც ვერაგულად მოჰკლეს კარლ ლიბკნეხტი და როზა ლაუქსემბურგი.

რატომაა, რომ ყველა ქვეყნის მუშებს ახსოვთ ეს დღე და ერთსულოვნად ატარებენ მას?

ვინ იყვენ, ან რატომ დახოცეს ისინი?

ეს უნდა იცოდეს თვითეულმა სპარტაკელმა, თვითეულმა ბავშვმა, როგორც ახალგაზრდა მშენე- ბელმა ახალ, თავისუფალ ცხოვრების, რომელიც ემზადება მთელი ქვეყნის მუშათა კლასის და მათი შვილების მდიდრების ბატონობისაგან გასათავისუფ- ლებლად, როგორც ეს უკვე არის საბჭოთა რუ-



სეთის რესპუბლიკებში: საქართველოში, სომხეთში ადერბეიჯანში და სხვ.

თვითნებური სპარტაკელი, ყველა პროლეტარის



კარლ ლიბკნეხტი

შვილი, ყველა პიონერი უნდა იცნობდეს ლიბკნეხტს და როზა ლუქსემბურგს, როგორც მებრძოლთა მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ბურჟუაზიის ბატონობისაგან განსათავისუფლებლად.

კარლ ლიბკნეხტს პატარობიდანვე უყვარდა მუშები. ის თვალყურს ადევნებდა მათ ყოფა-ცხოვრებას, ხედავდა როგორ მუშაობენ ისინი დღედაღამ ქარხნებში და აკეთებენ საუკეთესო ნივთებს კაპიტალისტებისათვის.

ყველაზე მეტად აწუხებდა კარლს ის ვარემოება, რომ მდიდარ-კაპიტალისტები მუშების შვილებს ცუდად ეპყრობოდნენ. ქარხნების და ფაბრიკების პატრონები მათ ამუშავებდნენ 10-12 საათის განძავლობაში. ამის გამო ბევრი მათგანი კარგავდა ჯან-ღონეს და ეთხოვებოდა კიდევ სიცოცხლეს.

ამავე დროს მდიდრების და კაპიტალისტების შვილები ცხოვრობდნენ ფუფუნებაში მათ ჰქონდათ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდნენ. ამასთანავე საშუალება ეძლეოდათ ევლოთ სკოლაში და ესწავლათ, თუ როგორ უნდა ებატონათ და დაეხმავებინათ მუშების შვილები მომავალში.

პატარა კარლი აღშფოთებული იყო ამგვარი წესებით და ფიქრობდა: „ნუთუ ბატონი კაპიტალისტები მომავალშიც განაგრძობენ მუშის შვილების წვალებას? ნუთუ ასეთი წესები კიდევ დარჩება დიდხანს?“

კარლმა კარგად იცოდა, რისთვის იჯდა მამა მისი საპატიმროში. მას ესმოდა, რომ მამა მისი დასაჯეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაბედა აფერიალებინა დროშა მუშათა კლასის კაპიტალისტების უღლისაგან განსათავისუფლებლად. ის ხედავდა, რომ მამა მისი მებრძოლია, სიმართლის დამცველი.

ეს იყო მიზეზი, რომ პატარა კარლმა გადაწყვიტა გაჰყოლოდა მამის კვალს და შეუპოვრად ებრძოლა არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტების უღლიდან მუშების დასახსნელად. ამიტომ იყო, რომ კარლმა ადრე დაიწყო ფიქრი მუშების და კაპიტალისტების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

ბავშობიდანვე შეძაგდა მას კაპიტალისტები — მდიდრები და მათი მთავრობა, რომელიც აპატიმრებდა, როგორც მის მამას, ისე ყველა იმ მუშებს, რომლებიც ებრძოდნენ კაპიტალისტების მთავრობის წესებს.

კარლ ლიბკნეხტის მამა, ვილჰელმი, მუშათა კლასის ინტერესების დამცველი იყო. ის საპრობლიემო იჯდა იმიტომ, რომ შეეცადა დაეწყო ბრძოლა მთელი ქვეყნის მუშების თავისუფლების მოსაპოვებლად.

პატარა კარლმა კარგად შეისწავლა 71 წლს ოპის ისტორია, რომელსაც აწარმოებდნენ გერმანიის და საფრანგეთის კაპიტალისტები.

ეს ომი მთელი თავისი სიმძიმით მუშათა კლასს დააწვა, იმავე დროს სწორედ ეს მუშები ყველაზე ნაკლებ იყვნენ ამ ომით დაინტერესებულნი. კარლის მამამ — ვილჰელმმა, ამ ომის წინააღმდეგ გაილაშქრა და მოუწოდა გერმანიის და საფრანგეთის მუშებს, შეერთებულიყვნენ და შეებრძოლებოდნენ მთავრობებს. ამისათვის ის დააპატიმრეს.

ის, რაც გადაწყვიტა ბავშობისას კარლ-ლიბკნეხტმა, კიდევაც შეასრულა, და ის გახდა ბელადი არა მარტო გერმანიის, არამედ ეყველა ქვეყნის, მთელი კაცობრიობის.

კარლი დაუახლოვდა მუშებს, შეისწავლა მათი ყოფა-ცხოვრება და დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ იმ გადაწყვეტილებით, რომ თუ მოითხოვდა ვარემოება — შეეწირა თავისი სიცოცხლეც კი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.

კარლ ლიბკნეხტი თავიდანვე შრომის მოყვარე იყო. ეინტერესებოდა ყველა ის საკითხები, რომლებიც მუშათა კლასს ეხებოდა. დღე და ღამ მეცადინეობდა, რათა მუშებისათვის სასარგებლო პიროვნება გამხდარიყო და ეს კი შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას სათანადო მომზადება და ცოდნა ექნებოდა.

ამ მიზანსაც მიაღწია კარლმა.

უმალღესი სასწავლებელი დაამთავრა და შემ-

დევ კარლმა მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახდინა.

კარლ ლიბკნეხტი თავიდანვე დიდი ყურადღება ახალგაზრდებს მიაქცია. მან მოაწყო ახალგაზრდობის რევოლუციონური ორგანიზაცია და შეუდგა მუშაობას. მან ჩააგონა თავის ახალგაზრდა თანამშრომელთ, რომ მხოლოდ მათ, ახალგაზრდებს, გატაცებულთ, აღფრთოვანებულთ, შეუძლიათ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმე სრულ გამარჯვებამდე მიიყვანონ, რომ მხოლოდ ახალგაზრდობა შექმნის ისეთს ხანას, როდესაც არ იქნება არც ყმა, არც ბატონი.

და აი, ეს ახალგაზრდობა ლიბკნეხტის მეთაურობით და ხელმძღვანელობით ილაშქრებს იმ ომების წინააღმდეგ, რომლებსაც აწარმოებდნენ გერმანიის და საფრანგეთის კაპიტალისტები.

ამისათვის მთავრობამ ლიბკნეხტი მიზანში ამოიღო. ის დააპატიმრეს და მთელი წელიწადი საპატიმროში ჰყავდათ დამწყვედელი. მასთან არ უშვებდნენ არც ერთს მის ამხანაგთაგანს, მაგრამ ის მაინც იმედიანად იყო სატუსაღოში.

რუსეთში დაწყებულმა მეფის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებებმა კარლი ალაფრთოვანა და დიდი ენერგიით შეუდგა კაპიტალისტების და მათი მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლას. კლარა ცეტკინას და როზა ლაუქსემბურგის დახმარებით მან მოაწყო გერმანიის მუშების გაფიცვა.

1914 წელს გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთის და სხ. მთავრობებმა ომი დაიწყეს. კ. ლიბკნეხტმა ამ ომის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა და მოითხოვა დაუყონებლივ შეეწყვიტათ ომი. ამ მიზნით მან ჩაატარა მთავრობის საწინააღმდეგო რამოდენიმე დემონსტრაცია. გამყდველ სოციალ-დემოკრატების ბელადებმა. შეიდემა და ებერტმა, რომლებიც თავის თავს მუშათა კლასის გულწრფელ მეგობრებად სთვლიდნენ—უღალატეს კარლს და დაუწყეს დევნა როგორც მას, ისე მის ჯგუფს. კარლ ლიბკნეხტი მობილიზაციის წესით ფრანტზე გაგზავნეს.

კარლმა ჯარისკაცებში დაიწყო მუშაობა და მოუწოდებდა მათ, შეეწყვიტათ ომი.

პირველ მაისს კი, მუშათა კლასის დღესასწაულის დღეს, დაბრუნდა ბერლინში და მოაწყო მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და მიტინგები. ბერლინის პოლიციამ დაარბია დემონსტრანტები და დატუსაღებული კ. ლიბკნეხტი კი საპატიმროში გაგზავნა. მიუხედავად ამისა ის, განაგრძობდა მუშაობას და საპატიმროდან გაუგზავნა წერილი მუშებს, რომლითაც უხსნიდა მათ, რომ ეს ომი დაიწყეს მდიდრებმა თავიანთი ბატონობის გასამტკიცებლად და ამიტომ მუშებმა ომის საწინააღმდეგოდ უნდა განაგრძონ ბრძოლა, ვინაიდან ომი ხალხს განადგურებს და შიმშილს დაატებს თავსო.

ლიბკნეხტმა გააგებინა ყველა ქვეყნის მუშებს, რომ მათ უნდა დაამხონ შეერთებული ძალ-ღონით მდიდრები და კაპიტალისტები და ხელში ჩაიგდონ ყველა ქარხანა და ფაბრიკა, რაც მისცემს მათ საშუალებას შეინარჩუნონ ძალა-უფლება.

ამ მოწოდებამ მოთმინებიდან გამოიყვანა მთავ-

რობა და დანიშნა ლიბკნეხტის გასამართლება დახურულ კარებში. სასამართლოს შენობა გარშემორტყმული იყო პოლიციელებით და ჯარისკაცებით. კარლ ლიბკნეხტი აღშფოთებული იყო ამგვარი მოპყრობით და ზიზლით მიმართა სასამართლოს წევრებს: „ახლოა ის დრო, რომ მდიდრების მიერ მოსყიდული მოსამართლენი თვითონ იქნებიან გასამართლებულნი მუშების მიერ“-ო

კარლ ლიბკნეხტს სასამართლომ ექვსი წლის კატორღა მიუსაჯა.

მაგრამ მან გამირულად გადაიტანა კატორღის წესები.

კატორღაში ის მუშაობდა, მეცადინეობდა. შეისწავლა მეწაღეობა და იმავე დროს კითხულობდა წიგნებს, გაზეთებს, თუკი ასეთები ჩაუვარდებოდა ხელში. მიუხედავად იმისა, რომ კატორღაში ცხოვრება ძნელი იყო, ის მაინც მხიარულად იყო და ბავშვით უღარდებოდა ატარებდა დროს. ის სულ იმის მოლოდინში იყო, რომ მას მალე თვით მუშები გაანთავისუფლებდნენ და იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა ეწარმოებინა ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ...

ლიბკნეხტი გამოუშვეს კატორღიდან, მაგრამ მას არ დასცალდა მუშაობის გაგრძელება. 1914 წელს, 15 იანვარს, ებერტის და შეიდემანის მთავრობა მხეცურად გაუსწორდა მას:

ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი ქუჩაში მოჰკლეს...

როზა ლაუქსემბურგი! თავისი სიცოცხლე, შემოქმედება შესწირა მან მუშათა კლასის სამსახურს.

1905 წ. როზა ლაუქსემბურგი მონაწილეობას იღებდა რუსეთის რევოლუციურში.

1914 წელს კი მთელი თავისი ენერგიით გილაშქრა ომის წინააღმდეგ.

როზამ დაიარა მთელი გერმანია, აწყობდა ყველგან მიტინგებს და მოუწოდებდა მუშებს, შებრძოლებოდნენ მდიდრებს. ამისათვის ის დატუსაღებული იყო 1919 წლამდე.

აი, ასეთი ხალხი დახოცეს.

მერე როგორ! მათმა მტრებმა ვერ გაბედეს მათი სიკვდილით დასჯა, ვინაიდან ეშინოდათ მუშების. დაიქირავეს ორიოდ საძაგელი პიროვნება, რომლებმაც კუთხიდან ტყვიები დაუშინეს მათ. ასე გაუსწორდნენ მდიდრების ლაქიები—ებერტი და შეიდემანი—დიდებულ მებრძოლთ...

კარლ ლიბკნეხტის და როზა ლაუქსემბურგის სახელები წმინდა სახელებად დარჩება საუკუნეების განმავლობაში, როგორც უმწიკვლო მებრძოლის, გამირის, რევოლუციური ნერის.

ამათ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირეს მუშათა კლასის კეთილდღეობას.

მათი სახელები წმიდა სახელებად დარჩება აგრეთვე პროლეტარიატის შვილებისათვის, რომლებიც ემზადებიან კაპიტალისტების და მდიდრების საწინააღმდეგო დაუცხრომელ ბრძოლისათვის და რომლებიც მიჰყვებიან კარლის და როზა ლაუქსემბურგის გზა-კვალს.

ალაოშა მდივანი.

1905 წლის 9 იანვარი

არ არის დედამიწის ზურგზე ისეთი კუთხე, სადაც ფაბრიკა—ქარხნებში, მიწაზე და მაღაროებში ოფლს არ ღვრიდეს მუშა, ქალია ის თუ კაცი, დიდი თუ პატარა.

მაგრამ ეს ფაბრიკა—ქარხნები, მიწა და მაღაროები ეკუთვნის არა მას, ვინც შრომობს და ჰქმნის კაცისათვის საჭირო რაიმე ღირებულებას, არამედ მდიდართა მცირე ჯგუფს, რომელიც ცხოვრობს ფუფუნებაში და არ იკლებს ცხვრების არავითარ სიკეთეს; ამავე დროს მუშას, სიმდიდრის შემქნელს, ის აძლევს მეტად მცირე ჯილდოს, რომელიც საკმარისია იმდენად, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს და შიმშილის მსხვერპლი არ გახდეს.

ასე იყო ძველთაგანვე, ასეთ პირობებში იმყოფება მუშა დღესაც ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში.

მუშებმა და გლეხებმა დიდი ხანია შეიგნეს ეს უსამართლობა, არ მოიხურვეს მდიდარ ბატონების უსიტყუო მონა—მოჩილობა და საუკუნეობით ებრძვიან ამ გამეფებულ უკანონო მოვლენას.

ვერ შეაჩერა მუშა და გლეხი ამ ბრძოლაში ვერც შეფის, მისი სასამართლოს და პოლიციის შიშმა, ვერც ცინე-კატორლამ და სიკვდილით დასჯამ.

ძველად მუშათა მოძრაობას სტიქიური ხასიათი ჰქონდა. მუშას ჯერ კიდევ შეგნებულნი არ ჰქონდა თავისი კლასიური ინტერესები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ის ებრძოდა არა ბურჟუაზიულ კლასს (კაპიტალისტებს და მემამულეებს), არამედ საგნებს: მანქანებს, ქარხნებს და მამულს, რომელსაც, უსახლდრო ექსპლოატაციით გაბრაზებული, შეუბრალებლად სწვავდა და ანადგურებდა.

მაგრამ მუშა თანდათან ვითარდება. ამ განვითარებამ მიიყვანა ის იმ დასკვნამდე, რომ ტენიკის მინახწევები, ქარხნები, სახლები, სასახლეები და მიწა შეიძლება ჩამოერაზვას მდიდრებს და გადაეცეს მას, ვინც შრომობს და ქმნის ცხოვრების სიმდიდრეს და სიკეთეს. მათ გაიგეს ვინ ჩაგრავს და ცარცვავს მუშას, ვინ ისაკუთრებს მისი ოფლით და შრომით მოპოვებულ სიმდიდრეს და მიწის, ქარ-

ხნების, რკინის გზის, ტელეფონ-ტელეგრაფის და სხვა დიდ საწარმოო დაწესებულებათა მშრომელ ხალხისათვის გადასაცემად, ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად და, საზოგადოდ, მოპირდაპირე კლასთან საბრძოლველად დაიწყეს პროფესიონალურ კავშირების და თავისი პოლიტიკური პარტიების მოწყობა.

ეს ბრძოლა მეტად გრძელი და მძიმეა. რუსეთის პროლეტარიატმა დიდი ტანჯვა გადიტანა, ბევრი ვიღვავლახი გამოიარა, უთვალავი მსხვერპლი შესწირა, სანამ კაპიტალისტებზე გაიმარჯვებდა და მიზანს მიახწევდა.

9 იანვარი, რომელსაც სამართლიანად მიენიჭა სახელად „სისხლის კვირადღე“, ქეშმარიტად უნდა ჩაითვალოს რუსეთის პროლეტარიატის ცხოვრების ერთ უდიდეს ტრადედიად.

9 იანვარს მოხდა რუსეთის მუშათა კლასის პირველი მასსიური პოლიტიკური გამოსვლა.

უმწეო მდგომარეობა, მცირე ხელფასი, გრძელი სამუშაო დღე, შრომის მძიმე პირობები, ადმინისტრაციის და პოლიციის მხრივ მხეცური მოპყრობა, აი ფაქტები, რომელთაც მუშები თანდათან გამოყავდათ მოაზინებიდან. ამას დაემატა იაპონიის ომი, მისი საშინელი შედეგებით (დამარცხება, სიძვირე, ხელისუფლების გახრწნა და სხ.)

მიუხედავად იმისა, რომ მუშათა მდგომარეობა იყო მეტად მძიმე და გამოუსვლელი, ბევრს მათგანს კიდევ სწამდა მეფე. მუშებს ეგონათ და თითქმის დარწმუნებულნიც იყვნენ იმაში, რომ მეფე დამნაშავე არ არის მათ უნუგეშო მდგომარეობაში, რომ მან არ იცის მათი გაჭირვება და რომ იცოდეს, მიიღებს ზომებს მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

9 იანვარს პეტერბურგის მუშები მშვიდობიანად, ყოველივე ბოროტ-განზრახვის გარეშე გაემგზავრენ სასახლისაკენ, მეფე ნიკოლოზისათვის თხოვნის გადასაცემლად, მაგრამ იმავე მეფის ბრძანებით, რომელზედაც ამდენ იმედს ამყარებდენ, გზაზე მხეცურად დახვრეტილ იქმნენ.

9 იანვრის ისტორია მოკლედ ასეთია: იანვ-



რის პირველ რიცხვებში პეტროგრადში (ახლა ლენინგრადი) პუტილოვის ქარხნის ადმინისტრაციამ რამოდენიმე მუშა დაითხოვა; დანარჩენებმა მოითხოვეს ამხანაგების დაბრუნება. ადმინისტრაციამ ამაზე უარი განაცხადა და მუშები ძალღებული იყვნენ გაფიცვა გამოეცხადებნათ; პუტილოვის მუშათა გაფიცვას მიემხრო სხვა ქარხნების მუშებიც.

იმ დროს პეტროგრადში დაარსებული იყო მუშათა საზოგადოება მთავრობისა და პოლიციის მონაწილეობით. ამ საზოგადოებას მეთაურობდა მღვდელი გაბონი, რომელიც ამავე დროს საიდუმლოდ მეფის სამსახურში ითვლებოდა და ამნაირად დალატობდა მუშებს. გაბონის ბოროტება ჯერ ხალხმა არ იცოდა.

გაბონი ხელმძღვანელობდა 9 იანვრის დემონსტრაციას. ის ჯერ ცდილობდა დემონსტრაციამდე არ მისულიყო საქმე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აღელვებული მუშების დამშვიდება შეუძლებელია და იძულებული შეიქმნა თვითონვე გაძლოლოდა მათ.

თხოვნა, რომელიც მუშებს მეფისათვის მიქონდათ, შეიცავდა პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნილებებს: მუშები მოითხოვდნენ 8 საათის საუშაო დღეს, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავისუფლებას და დამფუძნებელ კრების მოწვევას, ამასთანავე მიუთითებდნენ მეფეს იმ უსამართლობასა და ბოროტებაზე, რომელსაც ჩადიდნენ მისი მოსამსახურეები და სხოვდნენ მას შეკრიბების შესწორებას და მუშებისათვის ადამიანურ ცხოვრების პირობების მინიჭებას.

მეფის სურათებით, სადღესასწაულო ტანისამოსში, რწმენით და სასოებით მიდიოდნენ მუშები (მათ შორის ბევრი ქალი და ბავში) მეფის სასახლისაკენ.

ამ მსვლელობაში მონაწილეობდა 200.000 კაცი; მოედანი საზამთრო სასახლესთან, სადაც მეფე ცხოვრობდა, და ყველა ახლო ქუჩები დაკავებულ იყო ჯარით. ქუჩებზე და შესახვევებში მუშებს დახვდა მეფის ჯარისკაცების და ყაზახების რაზმები, რომელმაც მათ გზა გადაუჭრა და სროლა აუტეხა. მიუხედავად ამისა, მანიფესტანტების ნაწილმა

მაინც შესძლო გაერღვია ალყა და გასულიყო წინ. ეს მოწინავე ნაწილი ცდილობდა მიეხწია სასახლის მოედნამდე, მაგრამ აქაც თოფი და ტყვია დახვდა მათ. მუშების ჟღერა წარმოებდა მთელი დღე და ვაატანა თითქმის შუალამემდე.

ამ მხეცურ მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ პოლკოვნიკები მინი და რიმანი, რომელნიც ასეთ გამირობისათვის დაჯილდოვებულ იქმნენ გენერლის ჩინით.

ამ დღეს მოკლული იყო დაახლოვებით 1216 კაცი, დაიჭრა 5000 კაცი, მათ შორის ბევრი ქალი და ბავში.


ამ სისხლის კვარამ დიდი როლი შეასრულა მუშათა ცხოვრებაში. მუშებმა გაიგეს, რომ განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ რევოლუციონური ბრძოლით, მუშათა კლასის მტერზე, ძვირმყრობელობაზე—გამარჯვებით. სისხლიან კვირას დახვრეტით იქნა რწმენა მეფისადმი. ამ დღიდან მოისპო მორჩილება, სიწყნარე და რწმენა იმ მუშებშიაც კი, რომელთაც კიდე სწამდათ მეფე.

9 იანვარმა გააღვიძა მუშათა კლასის რევოლუციონური შეგნება. მთელ რუსეთში დაიწყო საპროტესტო გაფიცვები და დემონსტრაცია, რომელიც ვვიჩვენებდა, რომ რევოლუციონური მოძრაობა იზრდება და მაგრდება. 1905 წლის დეკემბრის აჯანყება, მოსკოვში საყოველთაო გაფიცვა (ამავე წლის ოქტომბერში, რევოლუციონური მოძრაობა ამიერ კავკასიაში და კერძო საქართველოში, სასტიკი პასუხი იყო ამ სისხლის კვირაზე.

მართალია, 1905 წლის რევოლუცია ჩაქრობილ იქნა და მის შემდეგ დაიწყო რეაქციის შავი ხანა (დაპატიმრება, კატორღა, სიკვდილით დასჯა), მაგრამ მაინც არ ჩაიარა ფუჭად. მას შედეგად მოჰყვა 1917 წლის 27 თებერვლის რევოლუცია (ახალი სტილით 12 მარტი), შემდეგ კი 25 ოქტომბრის პროლეტარული რევოლუცია, რომელმაც გადასცა მუშებს და ლარებ გლეხებს ხელისუფლება, მიწა და ფაბრიკა-ქარხნები.

მარიამ ორახელაშვილი.





ბავშთა სსოვნება

**ლენინის სახელობის კომუნისტურ
აღზრდის სკოლაში**

(მეორე საცდელ-სანიმუშო სკოლა)

მიხეილის ქუჩაზე, პატარა უბრალო შენობაში უკვე საქართველოს გასაბჭოების დღიდან წყაროსავით სჩქეფს სიცოცხლე. იქ სწავლობენ და იზრდებიან ბავშვები ახალი ცხოვრებისათვის, ახალი გზით. იქ გამეფებულია სრული ერთსულოვნება, მჭიდრო კავშირი და მეგობრობა უფროს და უმცროს ამხანაგებს შორის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის. ეს სკოლა გამოხატავს, როგორც სარკეში, მშრომელთა რესპუბლიკის ცხოვრებას. იქ საკუთარი რესპუბლიკაა, რომელიც შენდება პატარა, ჯერ კიდევ გამოუცდელ, მაგრამ მტკიცე ხელებით და მშრომელთა საქმისადმი ერთგულ მუშაკთა ხელმძღვანელობით. მშრომელთა ყველა სიხარული, ყოველი დღესასწაული იქ ჰოლოლობს გამოძახილს; მუშათა კლასის და მისი ბრძოლის ყოველი მწუხარება და უბედურება ხდება იქ პატარა კომუნის მწუხარებად.

მაგრამ არ, მშრომლებს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება, უდიდესი მწუხარება: მათ დაჰკარგეს თავისი წინამძღოლი, ხელმძღვანელი, მსოფლიო რევოლუციის მესაჭე.

სკოლაში მწუხარებაა, სკოლაში გლოვაა, ბავშვები თავზარდაცმული არიან, ისინი მტკივნეულად უბასუხებენ საერთო მწუხარებაზე, ვინაიდან ეს მათი მწუხარებაა არის. ისინი იცნობენ ილიჩს. მან იპოვნა მათ პატარა, მხურვალე გულში ყველაზე საპატიო, ძვირფასი ადგილი. ისინი გრძნობენ მთელი თავისი ნაზი, გაძნობიარე არსებით, რომ ის მათი საუკეთესო, გულწრფელი და ერთგული მეგობარია!


იმათ არ შეუძლიათ დაივიწყონ ლენინის ანდერძი ახალგაზრდობისადმი: სწავლა, სწავლა და სწავლა! მხოლოდ ცოდნის ჩირაღდნით შეიძლება წასვლა მშრომელთა დასახმარებლად.

შეიკრიბენ ყველა ხელმძღვანელებით, მოისაუბრეს, იგლოვებს, მაგრამ მთელი ეს მწუხარება არ დაეტია მხოლოდ მათ წრეში. მათ მოისურვეს კიდევ გაეგონათ მასზე რაიმე იმათგან, რომელნიც მთელი თავისი არსებით, აწმყოთი და მომავლით დაკავშირებული არიან ილიჩთან, ვისაც შეუძლია ბევრი რამ მოუთხროს მათ მის შესახებ. მივდივარ მათთან — მათი სურვილის თანახმად. შენობაზე აპართულია სამგლოვიარო დროშა, კედლებზე მწვანეულობით და წითელ — შავით მორთული ილიჩის სურათი ჰკიდია. ბავშთა კომიტეტის სახელით იხსნება კრება. ირჩევენ თავჯდომარეს, მდივანს. სიტყვას მაძლევენ. ფეხზე ამდგარი, ჩუად, დიდი მწუხარებით ისმენ ისინი სამწუხარო ამბავს დიდი მებრძოლის გარდაცვალების, მისი ცხოვრების, მისი ბრძოლის, მოღვაწეობის, გეგმების, აღთქმების, მშრომელებისა და ჩაგრულ ხალხისადმი უღრმესი სიყვარულის და მჩაგვრელთა მიმართ სიძულვილის შესახებ. სულგანაბული, თავჩამოშვებული მისმენენ. მხოლოდ აქა-იქ ისმის თავშეკავებული ტირილი. კითხულობენ ახალგ. კომკავშირის ცეკას მოწოდებას. შემდეგ ისმენენ განათლების სახ. კომისარიატის დადგენილებას მათი სკოლისათვის „ლენინის სახელობის კომუნისტურ აღზრდის სკოლის“ სახელწოდების მიცემის შესახებ. თავშეკავებულ სიხარულს, შიშს ვკითხულობ მათ სახეებზე, მათი თვალები თითქოს კრძაღვით ლაპარაკობენ: — „ერთიც ვნახოთ, ვერ გავამართლოთ ჩვენზე დამყარებული იმედები, ერთიც ვნახოთ, არ გავხდეთ ღირსი მისი სახელის!“ კრების თავმჯდომარე — 14 - 15 წლის ბიჭი — მოკლედ, ბავშვების სახელით მადლობას აცხადებს ნდობისათვის, იძლევა პირობას ბეჯითი შრომით და გაათავებულნი ენერგიით უშიშრად იარონ ლენინის მიერ ნაჩვენებ ძნელი გზით და დახმარება გაუწიონ მშრომლებს მტრების

წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი ხელმძღვანელი აგრეთვე აღელვებული ხმით მადლობას აცხადებს უფროს და უმცროს ამხანაგების სახელით და აგრეთვე იძლევა პირობას გაამართლოს ნდობა. რომელი-ღაც ბავში წინადადებას იძლევა, დასდონ ფიცი მშრომელთა ერთგულობაში და უბრალოდ, ბავშურად სთხოვს ხელმძღვანელს, დახმარება გაუწიონ მათ. შემდეგ სხდომა იხურება და ბავშვები იშლებიან ჩუმად, წყნარად, დამწუხრებული, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით, გახდენ ლენინის მოწაფეებად და

განაგრძონ მისი საქმე, რამდენი პატარა, წმინდა გული სცემს ამ მოსწავლეებთან ერთად. მხოლოდ დიდ ლენინს შეეძლო აღნთო მილიონი ახალგაზრდა გული უსაზღვრო სიყვარულით და მტკიცე გადაწყვეტილებით. პატიოსანი, საუკეთესო, მგრძნობიარე ბავშვები და ახალგაზრდობა ლენინისაა სამუდამოდ. დეე, ყოველმა მუშამ იცოდეს ეს, დეე, სიხარულით აღივსოს მისი გული, დეე, ეს რწმენა იყოს ყველა დაობლებულთათვის საუკეთესო ნუგეშად.

მარიამ ორახელაშვილი



ძვირფასი მასწავლებელი
ვლადიმერ ლენინი.

ბავრის მზიანი დღე იყო. შრომის სკოლის ფართო ეზოში პაწია მოწაფე ბავშვები უღარ-დელად დაკუნტრუშობდნენ და მათს მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. ავერ ერთი ჯკუფი თვალ-ხუჭუნაობას თამაშობს და მათი ჟრიაშული მყუდროებას აცეკვავებს.

უცბად შემოიჭრა ბავშვების წრეში მათი სათაყვანებელი მასწავლებელი ალექსანდრე.

პაწია ბავშვები ძალიან განაცვიფრა ალექსანდრეს სახის უჩვეულო, დამწუხრებულმა გამომეტყველებამ და ამბის ვაკების მოლოდინში იყვნენ. ალექსანდრე იყო მუდამ მხიარული, ბავშვებთან მოკიკიკივ, ხოლო დღეს კი მის სათნო სახეს ნაცრის ფერი გადაჰკროდა, დაღონებულიყო; ბავშვებში ჩოჩქოლი დაიწყო და აქა-იქ გაისმა შემამარწუნებელი ხმები:

„ვლადიმერ ლენინი... უდიდესი მასწავლებელი გარდაიცვალა“...

თუმცა დანამდვილებით არ იცოდნენ, თუ ვინ იყო ლენინი, მიუხედავად იმისა, რომ მის სურათს ყველა სცნობდა, ჩვენი სკოლის ბავშვები მას ყოველთვის სათნოებით და რალაცა მოკრძალებით შეჰყურებდნენ... სკოლის კედლებზე ბავშვების მიერ ნახი იყო:

„ლენინი“, „ილიჩი“.

„მოდი, მოგროვდით ჩემს გარშემო, ძვირფასო ბავშვებო.—მიმართა აკანკალებულის ხმით ბავშვებს მასწავლებელმა. ბავშვები მოგროვდნენ საყვარელ

ალექსანდრეს გარშემო და გაფითრებულ-დაინტერესებული მასწავლებელს სევდიან თვალეებში მიაჩერდნენ, რათა დაეჭირათ მის ბაგეთაგან გადმოხეთქილი მუდამ ძვირფასი და მშობლიური სიტყვები...

—„ძვირფასო ბავშვებო! მოხდა ის, რამაც მთელი მსოფლიო დაარტყანა... ცივმა დეპეშებმა გადმოგვცეს სამწუხარო ამბავი. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ დიდი წვალებით სული განუტევა მთელ კაცობრიობაში იშვიათმა და პირველმა ადამიანმა—ლენინმა“. ამის გაგონებაზე ბავშვები ინსტიქტიურად უწნოდ შეინძრნენ, წელში გაიმართნენ და დამფრთხალი თვალეებით მიაშტერდნენ ლენინის სურათს და მასწავლებელს.

—ჩემო საყვარელო ბავშვებო! ბუნებრივად დაგებადებათ კითხვა, თუ ვინ იყო ლენინი.

ლენინი იყო მთელს მსოფლიოში პირველი ადამიანი, რომელსაც ჰქონდა სპეტაკი სული და რომელიც იბრძოდა უკეთეს მომავლისათვის.

ბავშვებო! ლენინისთანა სპეტაკ ადამიანებს ისტორია ძუნწად იძლევა, რადგანაც მისთანა ადამიანები საუკუნეებით იზრდებიან. ლენინი იყო ყველაზე სალი და საქმიანი მოაზროვნე და ყველა ჩაგრულის მედგარი დამცველი.

ლენინი იბრძოდა მთელი 25 წლის ეკლიან გზაზე იმისთვის, რომ ცხოვრებაში არ ყოფილიყო არც ღარიბი, არც მდიდარი, რომ ყველა ერთნაირად ყოფილიყო დაკმაყოფილებული და ბედნიერი; იგი იბრძოდა მისთვის, რათა ცხოვრებიდან ცრემ-



ლები გამოედევნა, იგი იბრძოდა მზიანი მომავლი-სათვის.

ძვირფასი და კეთილშობილი ლენინი ის ადა-მიანია, რომლის გახსენებაც ყველა დაჩაგრულს აძლევს იმედს, რომ მათი პირუტყვეული მდგომარეო-ბა მალე შეიცვლება.

ლენინი დიდი გენიოსი, დიდი რევოლუციო-ნერი იყო (მარქსის შემდეგ, რომელზედაც, ძვირფა-სო ბავშვებო, შემდეგ კვირას ვისაუბრებთ), რომე-ლიც ხშირად ამბობდა ხოლმე: „რევოლუციის კე-თება უფრო სასურველია, ვიდრე მასზე წერაო“.

ლენინი დაიბადა რუსეთში 1870 წელს და მოწაფეობის წლებიდანვე დიდი წამება განიცადა თვითმპყრობელ რუსეთის მეფის ნიკოლოზ II-ის მი-ერ: ციხე, გადასახლება, შეურაცყოფა და სხვა... მაგრამ ძვირფასი ლენინი, მაგარი ნებისყოფის ადა-მიანი, არაფერს უშინდებოდა: დაამხო თვითმპყრო-ბელობა 1917 წელს და თავის თანამოაზრეებთან (კომუნისტები) ერთად შეუდგა ახალი, სინდისიერი და მზიანი სახელმწიფოს შენებას.

„ცხადია, საყვარელო მერცხლებო, დაგებადე-ბათ აზრი თქვენ ქორთვა თავში: ნუთუ მართლა ეს ყველაფერი ლენინმა გააკეთა?

მარტო ლენინმა არა, ჩემო ბავშვებო, მაგრამ იგი იყო დიდი ხელმძღვანელი, მედროშე.

ლენინის გარშემო თავს იყრიდნენ და დღესაც იყრიან ლენინის აზრების მატარებელი ადამიანები, რომელნიც ლენინივით იბრძვიან ამქვეყნიური სამოთხის დასამკვიდრებლად. ესენი არიან: ტროცკი, ზინოვიევი, კალინინი, სტალინი—რუსეთში, ჩვენ-ში კი—მი^ა ცხაკაია, ფ. მახარაძე, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე და ბევრი სხვა. ესენი შეადგენენ ერ თად ჯგუფს, ანუ პარტიას, რომელსაც ჰქვიათ კომუ-ნისტური პარტია; აი, სწორედ ამ პარტიას მეთაუ-რობდა ლენინი და ამათი დახმარებით გაიმარჯვა რუსეთში, საქართველოში, სომხეთში და ბევრ სხვა სახელმწიფოში.

დღეს კი ლენინი ამ თავის ძვირფას ამხანაგებ-ში აღარაა, იგი მოკვდა, მაგრამ მისი შესანიშნავი საქმე მათ გაამხნევეს და უფრო კარგად იბრძოლე-ბენ მთელი მსოფლიოს ასყავებლად. ლენინი მოკვდა, ძვირფასო ბავშვებო, 1924 წლის 21 იან-ვარს, მოსკოვის ახლო.

ძვირფასო ბავშვებო, მიუხედავად ამ მსოფლიო დიდი უბედურებისა... ამ სიტყვებზე ბავშვმა ცრემლ-მორეულ ღია თვალებით შეხედეს ძვირფას ლენინის სურათს, რომელიც იქვე ოთახში ეკიდა შავ ძაძებ-შემოკრული და ამოიოხრეს.

ლენინი მოკვდა, ბავშვებო!—ამ გულისმომ-კვლელ სიტყვებით დაარღვია უცბად ჩამოვარდნი-

ლი სიჩუმე ალექსანდრემ და ახლა მეგობრებს თანა-გრძნობით შეხედა. „მოკვდა იგი მხოლოდ სხეულით, მოკვდა ის დიდებული და შარავანდელით მოსილი ადამიანი, რომლის გახსენებაც მთელი ქვეყ-ნის მოზარდობა, მუშები, გლეხები და პატიოსანი მოქალაქენი მუხლს იდრეკენ მის წინაშე და სასო-ებით პატივსა სცემენ.“

მოკვდა, ბავშვებო, ის თავდადებული ადამიანი, რომელმაც მთელი ძალღონე შეაღია მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებას და მათთვის უკეთეს მომავლის შექმნას.

ძვირფასო ბავშვებო! დღეს მსოფლიო გლო-ვობს ძვირფასი მასწავლებლის დაკარგვას: გერმანია-ში, საფრანგეთში, ამერიკაში, ოსპალეთში, ინდო-ეთში და სხვ.

ლენინი მოკვდა, მაგრამ მისი ამაგი, მ სი აზ-რები (იდეალები) და წისწრაფებანი არ მომკვდარა... მისი იდეალები უფრო ღვივდებიან, მწიფდებიან და ნაყოფს იღებენ. მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი მის ანდერძს პარნათლად შეასრულებს, არ შეუშინ-დებიან არც ციხეებს, არც გადასახლებას და არც სიკვდილით დასჯას.


ლენინი მოკვდა, მაგრამ მან დასტოვა ის ფოლადისებური მაგარი ჯარი, რომელსაც ჰქვიათ კომუნისტური პარტია, რომლის გარშემოც თავს იყრიან ყველა მუშები, გლეხები და პატიოსანი მოქალაქენი, და რომელნიც ძვირფასი მასწავლებ-ლის—ლენინის—ანდერძს მოკლვე ხანში მთელს ქვეყნიერებაზე შეასრულებენ.

ძვ რფასო ბავშვებო! თქვენ მომავლის შვილები ხართ, თქვენ ისე უყვარდით ძვირფას ლენინს, რო-გორც თქვენს მშობლებს, ლენინი თქვენთვის ზრუ-ნავდა, ვინაიდან იცოდა, რომ ბავშვები ყველაფერია მომავალი თანასწორობის, ძმობის დამყარებისა-თვის.

სალამოს 7 საათია. მოცინარე ქალაქი ჩამკვდა-რებულია და ხალხის სიმზიარულეს შავი ზეწარი გა-დაჰფარებია. ელექტრონები აღარ ხარხარებენ და შავ ლეჩაქებში გახვეულან თეატრები, მალაზიები და სხვა გასართობები, რადგან მოკვდა უდიდესი გენიოსი—ლენინი.

უზარმაზარი სახლები გახვეულან შავ დროშებ-ში და მწუხარების მორევი უფრო ღრმავდება, გამვლელ-გამომვლელს რაღაც თარული ბოღმა და სევდა აწვება გულზე.

ასეთ სანახაობას წარმოადგენდა ქალაქი, რო-დესაც მასწავლებელმა ალექსანდრემ თავისი მოწა-ფენი ჩაატარა ქალაქის განიერ ქუჩებზე. ბავშვები რაღაც შინაგან სევდას შეეპყრო და დასევდიანე-ბული თვალებით შავ ნაოქებში გახვეულ უზარ-



მაზარ უნობებს შეპყრებდნ და ნელის ხმით გაიძახოდნ: **ლენინი მოკვდა, ლენინი მოკვდა.** „აგერ **ლენინის** დიდი სურათი, ყვავილებით შემკული“—სიამოვნებით წამოიძახა მგრძობიარე კოტემ და თავის პაწია მეგობრების ყურადღება ლენინის სურათისაკენ მიაქცია.

„ოჰ, რა მშვენიერია“, „ოჰ, ლენინი“, უყურეთ, მიშა, კოტე, ქეთო, როგორი ცეცხლისმფრქვეველი თვალები აქვს, რამოდენა შუბლი აქვს—და გახალისიანებული ათითებდნ ლენინის ვეებერთელა სურათს, რომელსაც ელექტრონები სევდიან სხივებს აწვდიდნ.

სალამოს 8 საათზე ბავშვები დაიშალენ და გრძობიარედ გაიძახოდნ ბავშური სითამამით:

„გაუმარჯოს **ლენინას** საქმეს,—კომუნისტურ პარტიას, ხალხს და მსოფლიოს“.

ჩვენი პაწია კოტე კი (გოგხას შვილი) დაღონებული იჯდა სახლში, გახურებულ ბუხართან, მწარე ფიქრებში იყო ვართული და სულ იმაზე ფიქრობდა, თუ როდეს გააცნობდა ბავშვებს მ.სწავლებელი ალექსანდრე კარლ მარქსს, რომელიც გაკვრით მოიხსენია.

ვალეკო ლუარსამიძე.




მბექდავათა კოლექტივი. კოლექტივი შესდგება მბექდავ მუშების ბავშვებისაგან, რომელთაც აქვთ თავისი კლუბი ბებუთოვის ქუჩ. № 50.

ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ცხოვრება. ჩვენ კოლექტივში.

უკვე 8 თვეა რაც ლუნაჩარსკის სახელობის კოლექტივი არსებობს. კოლექტივის წევრები პირნათლად ასრულებენ იმ მიზნებს, რომელიც დაკის-

რებული აქვთ ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს. კოლექტივში მუშაობენ წრეები: **მუსიკალური, დრამატიული, სასიმღერო,** ამასთანავე ბავშვებს ჰყავთ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც მთელი სოფლის ბავშვებს კრებებზე ხელმძღვანელობას უწევს.



კოლექტივის აქვს თავისი ჟურნალები: „წითელი ვარსკვლავი“ — რუსულად და „მომავლის ყვავილები“ — ქართულად.

ბავშვებს ძლიერ აინტერესებს ახალგაზრდათა კომკავშირის გაზეთების და ჟურნალების კითხვა.

X.

მბეჭდავთა კოლექტივი.

ეს კოლექტივი ერთი საუკეთესო კოლექტივ-თავანია თბილისის სპარტაკში. კოლექტივიში მეცადინეობა ხდება კვირაში ორჯერ. ბოლო დროს წერთა რიცხვი ავიდა 50-მდე. გვყავს აღმასკომი, რომელიც ხელმძღვანელობს კოლექტივის კრებებს.

კოლექტივმა გამოსცა კედლის გაზეთი, რომელიც საინტერესოა თავის შინაარსით; იწერება შიგლექსები, მოთხრობები, გასართობები და სხვა. კოლექტივის წევრები თავისუფალ დროს ატარებენ თავის საკრებულოში, სადაც სწავლობენ გაკვეთილებს, თავის ძალებით აწყობენ საღამოებს და სხ.

კოლექტივის წევრები მონაწილეობას იღებენ საერთო სარაიონო საკრებულოს მუშაობაში.

კოლექტივის განზრახული აქვს მოაწყოს საღამო, რომელზეც მიწვეული იქნებიან ბავშთა მშობლები.

X.

ახალსენაკის „სპარტაკი“.

1923 წელს, 10 დეკემბერს, „სპარტაკის“ ორგანიზაციამ თანახმად ცენტრალურ საბჭოდან მიღებული ცირკულიარისა, დააარსა გერმანიის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების დამხმარე კომისია, რომელმაც ქალაქის თეატრში მოაწყო ფასიანი წარმოდგენა და გამოსვლები პიონერების მონაწილეობით. კომისიამ წარმოდგენის მთელი შემოსავალი გადაუგზავნა ცენტრალურ საბჭოს გერმანიის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების სასარგებლოდ.

ეს არის დასაწყისი მატერიალურ დახმარების აღმოჩენისა. ის ასეთ საღამოებს მოაწყობს სისტემატურად თავისი პატარა პიონერებით და დახმარებას გაუწევს თავის მოძმეებს — გერმანიის ახალგაზრდა კომუნისტურ ბავშთა ჯგუფებს.

ი. გვასალია.

მზად ვართ მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად.

ქ. გორის ბავშთა კომუნისტურ მოძრაობის ორგანიზაციაში სწარმოებდა საუბარი გერმანელ

სპარტაკების შესახებ. გათვალისწინებულ იქნა გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც საშინელ გავლენას ახდენს ადგილობრივ ახალგაზრდობაზე. ორგანიზაციამ ერთხმად დაადგინა: გამართულ იქნას საღამო მეტროლო სპარტაკელების სასარგებლოდ ეს საღამო დანიშნულ იქნა 22 დეკემბერს, საუცხოვოდ ჩატარდა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდობაზე. სპორტიულმა საღამომ ძალიან დაინტერესა გორის ახალგაზრდობა. საღამოს შემოსავალი უდრიდა 1.170.750.000 მან., რომელიც გადაეცა გორის მაზრკომს დანიშნულებისამებრ გადასაგზავნად.

როგორ მუშაობს სიღნაღის ბავშთა კომუნისტური ჯგუფები.

ბოლო ხანებში ბავშთა ჯგუფები საგრძნობლად განვითარდა. ემჩნევა დიდი წარმატება სოციალურ აღზრდის დარგში. ამ დარგისათვის გამოყოფილია სპეციალური კოლეგია სამაზრო საბჭოსთან, რომელიც იმუშავებს მეთოდურ საკითხებს. ყველა მასალები, საუბრები და სხვა, ცენტ. საბჭოს მიერ გამოგზავნილი და აგრეთვე ადგილობრივ დამუშავებული, ტარდება ცხოვრებაში. ჯგუფების ავტორიტეტი თანდათან იზრდება. საზოგადოებრივი აზრი დადებითად უყურებს ახალ მოძრაობას. არის დიდი მოთხოვნილება სხვადასხვა რაიონებში ბავშთა ასეთი ჯგუფების დაარსებისა.

სიღნაღში სულ ოთხი კოლექტივია; მათში წევრთა რიცხვი 90 აღემატება. სოციალური შემადგენლობით უმრავლესობა ლარიბი გლეხკაცების შვილებია.

როგორ გამოეხმაურენ ჩვენი ჯგუფები გერმანიის დამშეულ ბავშთა დახმარებას.

ამ მიზნით ბავშვებში წინასწარ ჩატარებულ იქნა საუბარი გერმანიის მდგომარეობაზე და განსაკუთრებით ბავშვების შესახებ, რამაც ბავშვების მხრივ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

თვით ბავშვების ინიციატივით და კომკავშირების დახმარებით მოწყობილ იქნა საღამო, სადაც თვით ბავშვები გამოდიოდნენ სიტყვებით გერმანიის მდგომარეობაზე.

მთელი შემოსავალი მილიარდი მანეთი — გადაგზავნა გერმანიის ბავშთა დამხმარე ლიგას. უმთავრესი ყურადღება ინტერნაციონალურ აღზრდას ექცევა.

სიღნაღელი ინსტრუქტორი.



სასარგებლო თამაშობანი და ბავშთა შემოქმედება.

(წარმოდგენილი სანისავან).

ინტერესს არ იქნებოდა მოკლებული, რომ ჩვენს საბავშვო სახლებსა და ბაღებში სხვა გასართობებთან ერთად შემოვიღებდეთ პოლიტ-სათამაშოებს, რომლებიც შემოღებულია წითელ ჯარში და დიდი ნაყოფიც მოაქვს, როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ განვითარებაში.

ამ თამაშობებში უმთავრესად კითხვებია (პოლიტიკური, კულტურული, სანიტარული, სამხედრო, ეკონომიური, ისტორიული, ასტრონომიული, გეოგრაფიული და სხვა და სხვა). ყველა ეს დამოკიდებულია ამ თამაშობების მომწყობ წრეებსა და კომისიებზე.

ფრიად სასარგებლოა აგრეთვე ბავშთა შემოქმედება, რომელიც გამოიხატება ხელნაწერ კვირულ გაზეთებსა და თვიურ ჟურნალებში, რომლებშიაც მოთავსდება ბავშთა ნაწარმოებნი (ლექსები, მოთხრობები, წერილები, ნახატები და სხვა.) და ზეპირი გაზეთი.

მით უმეტეს კარგია ეს ყველაფერი, რომ ბევრ შრომას არ მოითხოვს, სრულიად უბრალოდ ეწყობა და დიდი ნაყოფი კი მოაქვს. აი ის სათამაშოები და შემოქმედება:

1. ლატარია.

დაიწერება რამდენიმე ბილეთი სხვადასხვა კითხვებით და ჩაიყრება ყუთში; სამი კაცისაგან აირჩევა ქაური, რომელიც შუა მაგიდას დაიჭერს. მარცხნივ მაგიდაზე იქნება ყუთი, სადაც ერთი მეთვალყურე სდგას, მარჯვნივ მაგიდაზე კი აწყვია საჩუქრები (წიგნები, კალმის ტარები, კალმები, რვეულები, ნივთები და სხვა.) აქაც სდგას ერთი მეთვალყურე, საჩუქრის გამცემი. ბავშები თვითეულად, რიგრიგობით მიდიან, იღებენ ერთ ბილეთს და ხმამაღლა კითხულობენ, რაც სწერია (მაგალითად: რა არის დედამიწა? საიდან წარმოსდგება მიწის ძვრა?

ქექა-ქუხილი? ვინ არის ესა და ეს პიროვნება?)

ამ კითხვებზე ხმამაღლა უნდა უპასუხო. თუ პასუხი სწორია - საჩუქარი მიეცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არა, და ასე გრძელდება ბოლომდე.

აქ ყველა ბავში ცდილობს გამარჯვებას და დამარცხებული კი შემდეგისათვის მომზადებას, რომ ამხანაგების წინ არ შერცხვეს.


სახალისო მუშაობა.

(წარმოდგენილი ს. გოგლიჩიძისაგან).

ელსმენის მომზადება.


(ტელეფონი).

ნამდვილი ელსმენის გაკეთება ძნელია, მაგრამ ჩვენი ძალებით და უბრალო მასალით შეიძლება მოვამზადოთ ისეთი კარგი ელსმენი, რომლითაც შეგვეძლება ვილაპარაკოთ ვერსის მეოთხედ მანძილზე. მასალა, რომელიც ამის გასაკეთებლად არის საჭირო, შესდგება ორი პატარა ფიცრისაგან, სიგრძით 14 დაუმი, სიგანით 9 და სისქით 1/2 დაუმი. ეს ფიცრები უნდა ამოვხერხოთ შუაზე, 8 დაუმის დიამეტრზე. ამისათვის ავიღოთ მრგვალი თეფში, რომლის დიამეტრი 8 დაუმი, დავხუროთ ფიცარზე და შემოვხაზოთ თანქრით. ფიცრის გასახვრეტად ბურღვი უნდა ვიხმაროთ; როდესაც ფიცრები მზად იქნება, ისინი ჯერ უნდა შევინახოთ, სანამ არ მოვამზადებთ ელსმენის სხვა ნაწილებს. უნდა ავიღოთ ძროხას ორი ახალი ბუშტი, გავბეროთ, შევუკრაოთ თავები და გადავლოთ რამდენიმე დღით, რომ რაც შეიძლება, განიზიდონ, არც კი ისე დიდ ხანს, რომ გახმეს. როდესაც ისინი საკმარისად განიზიდებიან, მაშინ როგორ უნდა დავაკრაოთ ბუშტი, მოვჭრაოთ ყელები, დავასველოთ და გავრცხოთ თბილ-




წყალში, რომ გათეთრდეს. შეიძლება გამხმარი ბუშტიც ვიყიდოთ და დავასველოთ წყალში, რომ დარბილდეს.

ამის შემდეგ ამ ბუშტს დავდებთ ფიცრის ნახვრეტზე, ყველა მიმართულებებისაკენ თანასწორად, რომ ნაკეციები და დაჭმუჭნული არ გამოვიდეს. შემდეგ ავიღოთ ტყავის თხელი ნაჭერი, დავჭრათ პატარ-პატარა ვიწრო ზოლებად, გადავაკრათ ბუშტებს ზევიდან ფართოთაფიან ლურსმნებით, როგორც სურათზე არის ნახვენები;—ამნაირად ბუშტი მაგრად და ბტყლად დავკრება ფიცარს. ბუშტის ნაპირები, რომლებიც ტყავს გარეთ გამოჩნდება, უნდა მაკრატლით მოვჭრათ. ავიღოთ ახლა ლილი, მის ორ ნახვრეტში გავუყაროთ მავთული და თავი გადუფრისათ ისე, რომ ლილიდან არ გამოძვრეს. ახლა ეს მავთული გავატაროთ ბუშტში, შუაზე და ბოლოში მოვაბათ რაიმე მძიმე საგანი, თუნდაც ქვა, შვიდი გირვანქის სიმძიმე. ფიცარი ისე უნდა იდოს, რომ ის სიმძიმე ძირს სწევდეს ბუშტს. მეორე ბუშტსაც ასე მოვაწყობთ და ორივე ბუშტს დავდებთ მზეზე, სანამ არ გაშრებიან და არ გახმებიან.



სურ. 2.
ლილი მავთულით.



ახლა ჩვენ ეს ორი ფიცარი მოვაწყობთ სადმე ერთი-ერთმანეთის დაშორებით და მათ შუა გავაბათ მავთული, რომელიც ლილების მავთულსურ.

როგორ უნდა გაიწიოს ბუშტი. ლებს შეაერთებს. ეს მავთული უნდა იქმნეს წმინდა სპილენძის ან რკინის. თუ მანძილი ამ ფიცრებს შორის დიდი იქნება, მაშინ ეს მავთული გზადაგზა უნდა იქნეს გამაგრებული ხის ტოტებზე ან პატარა სარგებზე ზონრის ყულფებით. როდესაც ყველაფერი მზად იქნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ერთს ფიცართან და მეორესთან ცხადად და გარკვევით გაიგონებენ ამ ლაპარაკს. ბუშტის ახლოს უნდა ვილაპარაკოთ და, როდესაც გვინდა ვისიმე გამოიწვევა სალაპარაკოდ, საჭიროა ბუშტს რამდენიმეჯერ დავარტყათ ჯოხი ახ ფანქარი.

გ ა მ ო ც ა ნ ა .

ტანი უღნება და გული ეწვის,
სადაც მინახავს, მულამ ბნელს ებრძვის.

ს. გოგლიჩიძე.

ო თ ა ხ შ ი .

ოთახში აქა-იქ იდგა 12 სკამი; თელო მიუბრუნდა თავის ძმას ვანოს და უთხრა: „აბა, თუ შეგიძლია, ეს სკამები დასდგი სამ რიგად ისე, რომ თითო რიგში 5 სკამი იქნეს!“

პირველად ვანომ ეს ვერ შესძლო, მაგრამ ცოტა მოფიქრების შემდეგ კი დააწყო ისე, როგორც უთხრა თელომ. „აბა, ახლა, თუ შეგიძლია, შენ დაალაგე ოთხ რიგად, რომ თითო რიგში, ოთხ ოთხი სკამი იქნეს!“—უთხრა ვანომ. თელო ორჯერ შესცვდა, მაგრამ მესამედ კა შეასრულა ის, რაც უთხრა ძმამ. ამას თვალს ადევნებდა იმათი მამა, რომელმაც მიმართა ბავშვებს: „მერე რა არის აქ გასაკვირი! თუ შეგიძლიათ, აბა ეს მოახერხეთ: მომეცით მე ორი სკამი; მე იმათზე დავჯდები ოთახის შუა, დანარჩენი სკამები ჩაარიგეთ ოთხ კედელთან ისე, რომ ერთი შეხედვით ყველა კედლებთან ერთიდაიგივე რიცხვი იყოს. თუმცა დიდხანს მოუნდა ცდა მამას, მაგრამ ბოლოს ბავშვებმა ისე დააწყეს სკამები, როგორც მამას უნდოდა.

როგორ დააწყო სკამები პირველად ვანომ? როგორ დააწყო სკამები მეორედ თელომ? როგორ დააწყო ორივემ ბოლოს სკამები?

(ს. გ—ძე).

**1923 წ. მე-11—12 ნომერში მოთავსებულ
გასართობ ამოცანების ახსნა.**

1. გამოცანა—წიგნი.

2. გამარჯვებული გამოხვალ მაშინ, თუ იმეცადინებ, რომ მითვლის დროს შენ შეგვხვდეს საბჭოელად რიცხვი 89; ამიტომ მოახერხე, შენ მოგიხდეს წარმოთქმა შემდეგი რიცხვებისა: 12, 23, 34, 45, 56, 67, 78, 89. ამის შემდეგ რა რიცხვიც (არა უმეტეს 10-სა) უნდა მიუმატოს შენმა ამხანაგმა, გამარჯვებული შენ იქნები ამ თამაშობაში და თავმოძვონედ წამოიძახებ: „ასი!“

3. გაღმობრუნეთ რიცხვი 63 და მიიღებთ 99, რომელიც უდრის მოცემული რიცხვისა და მის ნახევრის (33) ჯამს.

4. თუ რიცხვ 12-ს დასწერთ რომაული ციფრებით (XII) და გაჰყოფთ ხაზით (—) ორ თანასწორ ნახევრად, აუცილებლად მიიღებთ ზევითა ნაწილში რიცხვ შვიდის (VII) გამოხატულებას.



5. თითო წიწილა პირველი დედაკაცისა ღირდა $\frac{1}{2}$ მან., მეორესი კი $\frac{1}{3}$ მან. როდესაც იმათ დაუწყეს ყიდვა წიწილებს (5 წიწ. = 2 მან.), მაშინ თითო წიწილა გაიყიდა $\frac{2}{5}$ მან. ($60 \times \frac{2}{5} = \frac{120}{5} = 24$) და არა $\frac{1}{2}$ მან. ($\frac{1}{2} \times 30 = \frac{30}{2} = 15$) და $\frac{1}{3}$ ($\frac{1}{3} \times 30 = \frac{30}{3} = 10$), რაიცა შეადგენს 25 მინ.

წიწილების შეერთებით დედაკაცებმა აპიტომ დაჰკარგეს 1 მანეთი.


6. სამმა შეჭამა სამი პური, მაშასადამე, თითო თითო პური; ამიტომ ის გლეხი, რომელსაც

ჰქონდა ერთი პური, არ მიიღებდა არაფერს და მანეთი მთლად უნდა შეხვდეს იმ გლეხს, რომელსაც 2 პური ჰქონდა.

7. რომ გაიგოთ ჩაფიქრებული რიცხვი, რომელიც არის 1, 2, 3 და 5 რიგში, შეაერთეთ რიცხვები, რომლებიც არიან თავულის ბოლოს, ხაზებ შუა (სხვილი შრიფტით დაწერილები), ესე იგი, $1 + 2 + 4 + 16 = 23$.

ამნაირად შეგიძლიათ გამოიცნოთ თავულის სხვა რიცხვიც.

8 შარალა: ქართული ენა.



მერიკოს.

სიტყვ. ვ. რუხაძისა.
მუს. ი. ნ-ლისა.

ზომიერად.

პირველი პური ხმა. მი - ყვარს, მი - ყვარს, ბავ შო, შე - ნი ა - ლოხ - სი. მა -


მესამე ხმა.

თბილისგანდობა ცუცხლობეუბ - ხურვა - ლე - სი რის - ტუ - ჩუბ - ბე

მერიკოსი დი - მი ნე - ტა რად, მუც - სი - ცო - ცხლო მუ - ჩუე - ნე - ზა ნუქტა რად.

შინარსი

1. ლენინი, —სურათი	1
2. გლოვა —ლექსი 3. ოდიშელისა	2
3. ძვირფასი მასწავლებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი-ულიანოვი, ალფოშა მდივანის	2
4. ლენინი —დ. კ-ძისა	3
5. ძია ლენინი —ლექსი ალ. მაშაშვილისა	7
6. გლოვის დღე (ლენინის ხსოვნას) —მუსიკა თაქთაქიშვილისა	8
7. ახალი წელი, —სურათი —ს. ერ —ლისა	10
8. წყავის შტოში —ლექსი პროზად —შ. ფარცხნაღელისა	11
9. სოფელში —ლექსი —სეზმანისა	12
10. ორი ბავში —ალ. მაშაშვილისა	13
11. კარლ ლიბკნეხტი და როზა ლექსემბურგი —ალფოშა მდივანის	20
12. 1905 წლის 9 იანვარი —მარიამ ორახელაშვილისა	23
13. ლენინის სახელობის კომუნისტურ აღზრდის სკოლაში —მარიამ ორახელაშვილისა	25
14. ძვირფასი მასწავლებელი ვლადიმერ ლენინი — ბ. ლუარსამიძე	26
15. ბავშთა კომუნისტურ ჯგუფების ცხოვრება	28
16. გასართობი: ლატარია, ელსმენის მომზადება, გამოცანა, ოთახში — და ახსნა	30
17. მერიკოს, —მუსიკა ი. ნ-ლისა, სიტყვები ვ. რუხაძისა	32



— 1924 წ. —

გამოქვეყნების უფლებათა
სამართლებრივი დაცვით
შეზღუდული

მოგზაობისათვის წითელი სხივი წელიწადი 1
მცირე წლ. ნაკადული „ მე-XX

ქუჩის გამოსვლა ს. ს. ს. რედაქციის ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს გავითარების კომუნისტური
ჯგუფების, უფალი წიგნის, ორგანიზაციის უფალი
კოლექტივის, გავითარების კომუნისტური მოძრაობის, თვი-
თული ხელმძღვანელის, გიგლიორთიკების
და საგონებელთა ვალდებულ-
ბა გამოიყარონ

„წითელი სხივი“

— და —

„ნაკადული“

ხელის მოწერა მიღება თვითნებ

ცალკე „წითელი სხივი“ — 40 კ.
„ნაკადული“ — 25 კ.

გადაგზავნა ხელის მომწერის ხარჯით.

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5. განათლების სახალხო
კომისარიატი „წითელი სხივის“ და „ნაკადულის“ რედაქცია.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.